საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნათია შავაძე

მორალურ-ზნეობრივი ტენდენციები ვაჟა-ფშაველას პოეზიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა თავდგირიძე - ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2020

განაცხადი

როგორც წამომოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენლ მასალებს, რომლებშიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესები შესაბამისად.

თარიღი - 18.06.2020

სახელი-გვარი - ნათია შავაძე

ანოტაცია

ვაჟა-ფშაველას პოეტური გენია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან თან სდევდა ქართველ ხალხს. იგი იყო და არის ქართველი კაცის გმირული სულის ჭეშმარიტი ამოძახილი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე.

ახალ დროში ზნეობრივ კრიზისთა არსებობამ დაგვაფიქრა რაინდული სულის გამოცოცხლების აუცილებლობაზე. დღეს, როცა უდიდესი საფრთხის წინაშე დგას ოჯახის სიწმინდე, ტრადიციები, ვაჟკაცობა, ქართველი კაცის გენეტიკური გმირული სული, გადავწყვიტეთ, განსაკუთრებული ყურადღება მიგვეპყრო გენიალური ქართველი პოეტის - ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

თანამედროვე ეპოქაში ღიად და აქტიურად მიმდინარეობს შეტევა ეროვნულ ფასეულობებზე. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ქართული ღირებულებების დაცვა და მის საფუძველზე მომავალი თაობების აღზრდა.

ჩვენი მიზანია ვაჟა-ფშაველას ღვაწლისა და შემოქმედების პოპულარიზაცია და მკითხველისათვის კიდევ ერთხელ წარმოჩენა, შეხსენება იმ მრავაფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რომელიც მდიდარია პატრიოტიზმის, ადამიანის პიროვნული ღირსების, კაი ყმის იდეის, ისტორიული წარსულის, ჰუმანიზმის საკითხებით. გვსურს, უფრო ღრმად გაგაცნოთ პოეტის გმირული ცხოვრების გზა და მორალურ-ზნეობრივად მდიდარი შემოქმედება.

ანოტაცია ინგლისურად

სარჩევი

შესავალი---------- გვ. 6

თავი I. მორალურ-ზნეობრივი ასპექტები ვაჟა-ფშაველას ცხოვრების კვალდაკვალ;

თავი II. ვაჟა-ფშაველას ერისა და ქვეყნის ერთგული პერსონაჟები;

თავი III. კაი ყმა - მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების მცველი;

თავი IV. დასკვნა;

თავი V. გამოყენებული ლიტერატურა;

შესავალი

ქართველ ნიჭიერ მწერალთა შორის ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედია. 35-წლიანი სალიტერატურო მოღვაწეობის მანძილზე უამრავი შედევრი შექმნა, მათ შორისაა ხუთასამდე ლექსი, პოემები, მოთხრობები, ნარკვევები და რამდენიმე პიესები. უნდა ითქვას ისიც, რომ მის ზოგიერთ ორიგინალურ ლექსს თუ პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია.

უდიდესი პოეტის შემოქმედება განსაკუთრებით მდიდარია 80-90-იან წლებში. თავისი პოემების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ პერიოდში დაიწერა (გარდა „გველის მჭამელისა“). პოემების გარდა მან შექმნა ლირიკული შედევრები, ბალადები და შესანიშნავი მოთხრობები.

ვაჟა-ფშაველას, პიროვნული ცხოვრებისა და შემოქმედების გათვალისწინებით, მკვლევარი გრიგოლ კიკნაძე შემდეგნაირად ახასიათებს მწერლის მოღვაწეობას: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მამაკაცური თვისებით აღბეჭდილი მხატვრული ფაქტია, რაც გულისხმობს და მოიცავს საკუთარი ღირსების შეგნებას, სხვისი პიროვნების პატივისცემას, სულგრძელობას, ქველმოქმედებას, გამორიცხავს სხვის აბუჩად აგდებას, დაცინვას და საზოგადოდ ყოველგვარ აფექტაციას“ (გრიგოლ კიკნაძე, 1982: 299).

სამაგისტრო ნაშრომში - „მორალურ-ზნეობრივი ტენდენციები ვაჟა-ფშაველას პოეზია“ შევეცდებით, წარმოვადგინოთ და უფრო ღრმად შევისწავლოთ, როგორც პოეტის ზნეობრივად მდიდარი შემოქმედება, ისე მისი გმირული ცხოვრების გზა.

ნაშრომი შედგება დაბეჭდილი 91 გვერდებისგან, შესავლისგან, 3 თავისა და დასკვნებისაგან, რომელსაც თან ერთვის გამიყენებული ლიტერატურის სია.

სამაგისტრო ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ვაჟა-ფაშაველას ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ღირსებათა დაცვას ემსახურება, რაც სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის. იგი იყო და არის თავისი ერისა და ქვეყნის ღირსეული შვილი.

მეორე თავში აღწერილი გვაქვს ჭეშმარიტი პატრიორი ვაჟა-ფშაველა და მისი ერისა და ქვეყნის ერთგული პერსონაჟები.

მთიელმა მწერალმა სამშობლოს სიყვარულს მიუძღვნა უამრავი ლირიკული ლექსი და შესანიშნავი პოემა „ბახტრიონი“. ამ ნაწარმოების შექმნით ვაჟამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი არის ჩვენი დიდი ისტორიული, ხალხური და ლიტერატურული წარსულის ღირსეული შვილი. „ბახტრიონის“ გმირების მოქმედებებს პატრიოტული გრძნობა და მაღალი შეგნება უდევს საფუძვლად.

მთიელი პოეტისათვის მოტივთა მოტივია პატრიოტული გრძნობა და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „ბახტრიონსა“ და მის პატრიოტულ ლექსებში სწორედ ეს მაღალი და ფაქიზი გრძნობა არის გამოცხადებული არა მხოლოდ რაინდული ქცევის მოტივად, არამედ საზოგადოდ ადამიანური ცხოვრების საზრისად.

ადამიანის მაღალ სულიერ შესაძლებლობათა გადარჩენის სურვილითაა ავსებული პოეტის დიდი მხატვრული სამყარო, რომელშიც გამოკვეთილ ადგილს იჭერს ამ ნიშნით დატვირთული „კაი ყმის“ მოტივი ანუ რაინდული სულის მარადიულობისა და მისი უკვდავების თემა. სწორედ, ამ მოტივების ნიადაგზეა შექმნილი პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“... პოემების გმირები გამოირჩევიან ვაჟკაცობით და პიროვნული ღირსებით.

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში - „კაი ყმა - მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებიც მცველი“ აღწერილია რაინდობის მოტივზე შექმნილი შესანიშნავი პოემები „ალუდა ეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და ცნობილი ლექსი „კაი ყმა“.

იდეალური ვაჟკაცის სახის შექმნას ცდილობს ვაჟა ლექსით „კაი ყმა“. კაი ყმა ფიზიკური, გონებრივი, მორალური თუ სულიერი თვალსაზრისით საუკეთესო ადამიანია. ამ ლექსით ვაჟას სურვილი იყო ძველი, ნამდვილი კაი ყმების თავისი თანამედროვე „კაი ყმებისთვის“ შედარება. პოეტი წუხს ქართველთა დიდი წინაპრების გადაშენებისა და მათ ნაცვლად უღირსი შთამომავლობის დამკვირდების გამო.

ვაჟა-ფშაველა კაი ყმის სახით გვიხატავს ქრისტიანულ გმირს, რომელმაც თავისუფალი არჩევანი გააკეთა და სისრულეში მოიყვანა. ეს არჩევანი კი მარადიული სიცოცხლისთვის ღვაწლი და ბოროტებასთან ბრძოლაა. ეს არის არჩევანი შიშსა და გამბედაობას შორის, რომელიც ყველა შემთხვევაში გამბედაობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს, როცა საქმე ეხება სამშობლოს, მოყვასის და ღირსების დაცვას.

თავი I. მორალურ-ზნეობრივი ასპექტები ვაჟა-ფშაველას ცხოვრების კვალდაკვალ

უდიდესი მწერალი ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედია ქართველ მწერალთა შორის. მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე უამრავი ლექსი, პოემა, მოთხრობა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი შექმნა. მთიელი პოეტის უდიდესი გენიალური ნიჭი ჩანს მის ლირიკულ და პროზაულ ნაწარმოებებში, მაგრამ შემოქმედების უმაღლეს მწვერვალს მან პოემებში მიაღწია. პოეტის მოღვაწეობა მდიდარია მორალურ-ზნეობრივი ასპექტებით, რომლებიც მის შემოქმედებასთან ერთად, უშუალოდ ცხოვრებაშიც აისახება.

მწერალთა და საზოგადოდ, ხელოვანთა შემოქმედებითი სამყაროს გასაცნობად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ცხოვრების შესწავლას. როგორც მკვლევარი ვერლი ფიქრობს: „ბიოგრაფია მწერლის ფენომენოლოგიის შთამბეჭდავი რეალიზებაა“. მისი ღირებულება და სპეციფიკა კი „სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჯეროვნად ვლინდება მწერლის ადამიანური ნატურის დასრულებული მთლიანობა-ნაირფეროვნება და იმაშიც, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შემწეობით ის გვაბრუნებს მისი ავტორის ცხოვრების სფეროში“ (https://armuri.georgianforum.com/t71p50-topic0.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ვაჟა-ფშაველა თავის მკითხველში იწვევს, არის მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებები: კაი ყმობა, ვაჟკაცობა, შერწყმული ღრმა და ფაქიზ გრძნობებთან. სწორედ, მასზეა ნათქვამი შოთა რუსთაველის სიტყვები: „სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლად შენართაულად“ (გერონტი ქიქოძე, 1986: 360). ვაჟკაცურია პოეტის ლიტერატურული ფსევდონიმი, ლირიკა, ეპოსის პერსონაჟებიც და ის მთის პეიზაჟიც, რომელიც მისი შემოქმედების ბუნებრივ ფონს შეადგენს. ამ ყველაფერთან ერთად, ვაჟკაცურია ვაჟას ცხოვრების გზაც. ამ მხრივ ვაჟა-

ფშაველა გმირული ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების გმირი მემკვიდრეა.

ვაჟა-ფშაველა თავისი მსოფლმხედველობით, ღირებულებებით, აღმსარებლობით, განათლებით, ვაჟკაცური ბუნებით ყველა დროის გამორჩეული ადამიანია. პოეტის თანამედროვეების დახასიათებით მოაზროვნე და ინტელექტუალი კაცი დიდი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე გახლდათ. ტიციან ტაბიძის თქმით, მან „გაიარა თანამედროვე პოეზიის შხამიანი გზა; მან იცოდა XIX საუკუნის ყველა საწამლავი“ (ტ. ტაბიძე, 2003: 350). დღეს კი „კულტურის კრიზისის“ და კაცთმოყვარეობის სიმწირის ფაზაში მყოფ საზოგადოებაში კაცთმოყვარეობიოს, რწმენის, მაღალზნეობრივი ღირებულებების დაუღლელ და ერთგულ მეციხოვნედ რჩება.

უდიდესი მოაზროვნე, გენიალური ქართველი მწერალი და ქართული პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატი ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წლის 14 ივლისს (თავად ვაჟა დაბადების თარიღად 1862 წლის 15 მაისს უთითებდა), დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ვაჟკაცურად წარმართვაში, მისი პიროვნების ფორმირებასა და აღზრდა-განათლებაში განსაკუთრებული წვლილი მშობლებმა შეიტანეს.

ვაჟას დედა ბარბარე ფხიკელაშვილი, იგივე გულქანი, უკანა ფშაველი ქალი იყო, სოფელ სხლოვანიდან. გულქანი იმ დროისათვის დამახასიათებელი გარემო-პირობების გათვალისწინებით, კულტურული და განათლებული ადამიანი გახლდათ. მისთვის მეტადრე დამახასიათებელია ფშაველი ქალის დადებითი თვისებები: სიმშვიდე, სათნოება, პოეტური სული, ღვთის სიყვარული და სიბრალული. დიდსულოვანი და კეთილშობილი ბარბარე გარეგნობითაც ძალიან ლამაზი ყოფილა. ღირსეულ ქალბატონს კარგად ჰქონდა გათავისებული განათლებისა და ეროვნული ღირებულებების მნიშვნელობა. ამიტომაც, იგი მუდამ ცდილობდა შვილების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდასა და მათი ცხოვრების პრინციპებად მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების დამკვიდრებას. როგორც მისი თანამედროვეები იხსენებდნენ, მას

კარგად სცოდნია მდიდარი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება და შვილებს ბავშვობიდანვე უნერგავდა ხალხური საუნჯისადმი სიყვარულს.

ვაჟა-ფშაველას მამა - პავლე რაზიკაშვილი სულიერად მდიდარი, მხნე და შრომისმოყვარე ვაჟკაცი ყოფილა. მომავალმა დიდმა მგოსანმა წერა-კითხვა უშუალოდ მამისგან ისწავლა. ის ხშირად უამბობდა შვილებს ქართველ და უცხოელ გმირებზე, უკითხავდა ხალხურ ლექსებს, უამბობდა ბიბლიურ მოთხრობებს დავითზე, სამსონ უძლეველსა და სხვებზე. ასევე ასწავლიდა „ვეფხისტყაოსანს“, აყვარებდა ცნობილ თანამედროვე მწერლებს: ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს.

ვაჟას მამა ღირსეული მემკვიდრე იყო თავისი სახელოვანი და ჯიშიანი წინაპრებისა. მან ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ხასიათის სიმტკიცე და გაუტეხლობა. პავლეს გარჯა არ ეზარებოდა, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა ერთფეროვნება და გლეხური შრომა. არ მოსწონდა მხოლოდ და მხოლოდ ეზრუნა არსებობისათვის და მჯდარიყო მიწურ სახლში. სურდა, უკეთესი და საინტერესო ცხოვრება აეწყო, მაგრამ როგორ - არ იცოდა. რეალობის პირისპირ დარჩენილი პავლე დაღონებული და დაფიქრებული დადიოდა.

პავლე რაზიკაშვილი ჯიუტი ავტოდიდაქტია, წერა-კითხვა მწყემსობაში შეისწავლა მამის ფარულად, რომელიც სწავლას რჯულის და თემის ღალატად თვლიდა, მან თავისი შვილი კინაღამ თოფით მოკლა, როცა ხელში დაწერილი ფიქალი დაუნახა. პავლე რაზიკაშვილი ყველა დაბრკოლებას უძლებს, სწავლა-განათლებას იღებს მონასტერში, კარგად ეცნობა არა მარტო საღმრთო წერილს, არამედ საერო ქართულ ლიტერატურასაც. ხდება მღვდელი.

ვაჟას მამა იყო ნამდვილი მღვდელი და ნამდვილი მოძღვარი თავისი მრევლისა, გულიანად შემსრულებელი თავისი მოვალეობისა. მას სხვებივით არ უზრუნია მხოლოდ და მხოლოდ კარგი ცხოვრების მოწყობაზე, იგი მაღალი ზნეობის და შეგნების კაცად დარჩა.

მწერალი თავის დაუმთავრებელ ნარკვევში „ჩემი წუთისოფელი“ გვიხატავს თავის ბავშვობასა და მშობლების სურათს. თუ ამ ავტობიოგრაფიულ ესკიზს დავუმატებთ

პოეტის ბიოგრაფების მიერ მოწოდებულ ცნობებს, თვალწინ ნათლად წარმოგვიდგება ვაჟას და-ძმებთან ერთად ბუნების წიაღში ბედნიერად გატარებული წლები.

ვაჟას ხუთი და-ძმა ჰყავდა. ბავშვები მსგავსად დედისა, მეტად სტუმართმოყვარეები იყვნენ. დედის ხასიათიდან გამოჰყვათ: სიუხვე, კაცთმოყვარეობა დაადამიანებთან გულითადი დამოკიდებულება. გაფაციცებული ბავშვური ყურადღებით იჭერდნენ ყოველგვარ ამბავს შესაძლებელი და შეუძლებელი თავგადასავლის შესახებ, ტკბილ თუ მწარე ამბებს, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ირონიულ დახასიათებებს... ბავშვების წინაშე საინტერესო და მრავალფეროვანი სამყარო ცოცხლდებოდა.

ღირსეული მშობლების შვილებმა დედისაგან მემკვიდრეობით მიიღეს მგრძნობარე წარმოსახვა და გულის სიუხვე. მამისაგან კი - აზრიანობა, დაკვირვებულობა და სიცოცხლის სიყვარული. ამ გრძნობათა ნაერთმა სამი მწერალი გაუზარდა ქართველ ხალხს.

მომავალი პოეტის მასწავლებელი გახლდათ ასევე ფშავი თავისი გმირული ტრადიციებითა და შესანიშნავი სიტყვიერებით. ამ კუთხის მაღალი ზნეობრივი იდეალებით გამსჭვალული შემოქმედება ვაჟა-ფშაველას სულსა და გონებას ბავშვობიდანვე კვებავდა. პოეტი სიყრმიდანვე დიდი სიყვარულითა და ინტერესით ისმენდა აქ შემონახულ საკვირველ, რაინდული სულის ლეგენდებსა თუ თქმულებებს, რომლებიც შემდგომ გადაამუშავა და ჩაჰბერა პოეტური სული. იმ რაინდულ სულს, რომელიც ქართველი კაცის ბუნებაში არსებობს ვაჟა ბავშვობიდანვე ეძებს. 1888 წელს შექმნილ პოემაში „მოხუცის ნათქვამი“ იდეალად ისახავს ქართულ ხალხურ, კერძოდ, ფშაური პოეზიის კვალობაზე შექმნილ ქართველი რაინდის ხასიათს:

„ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა

შეიყვარებდა მაშინა,

როცა ხედავდა მებრძოლსა

შეუპოვარად მტრის წინა.

ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი

არ იყო ქალის პირისა,

არამედ შავი, მამაცი,

მუხლ მგელი, გულით-რკინისა“. (იუზა ევგენიძე, 1989: 267)

ეს სტრიქონები გვახსენებს 1889 წელს შექმნილ ვაჟას წერილს „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, სადაც ჭაბუკი ვაჟა „კაი ყმას“ ახასიათებს. ორივე ნაწარმოებში პოეტი ხალხური ტრადიციიდან ამოდის.

ვაჟა ათ წლამდე ჩარგალში იზრდებოდა ისე, როგორც სხვა მთიელი ბავშვები. მომავალი პოეტი ოთხი-ხუთი წლიდან ფაქტობრივად, ოჯახურ საქმიანობაში იყო ჩაბმული. ზაფხულობით მწყემსი იყო, ნადირობდა ჩიტებზე, კრეფდა მარწყვსა და ჟოლოს, სოფლელ ბავშვებთან ერთად, ჩარგლულაში ბანაობდა და კალმახს იჭერდა. პატარაობიდანვე უყვარდა, ეხერხებოდა თევზაობა და ფარიკაობა.

მომავალმა მწერალმა სწავლა 10 წლის ასაკში დაიწყო. იგი მშობლებმა თელავის სასულიერო სასწავლებელში წაიყვანეს თავის ძმასთან - გიორგისთან ერთად. აქ ძმები კარგად სწავლობდნენ და სწავლასთან ერთად, როგორც სანდრო რაზიკაშვილი მოგვითხრობს, კრივში პირველები იყვნენ. შეჯიბრების დროს ძმები რაზიკაშვილები ყოველთვის იმარჯვებდნენ.

ვაჟას კრივმა მისცა ერთგვარად ასპარეზი გამოემაჟღავნებინა თავისი ვაჟკაცობა და დაემტკიცებინა, რომ იყო თავისი სახელოვანი მამა-პაპების ღირსეული მემკვიდრე. საგმირო საქმეებისთვის გულანთებული ჭიდაობასა და კრივში იკლავდა ჟინს, ავარჯიშებდა მკლავსა და გონებას, ხარჯავდა თავის მოჭარბებულ ენერგიას.

თელავის სასწავლებელი მომავალი მწერლის მოთხოვნილებებს, ფანტაზიას, გულს, გონებას ვერ აკმაყოფილებდა. აქ არსებული მდგომარეობა და სწავლების ხარისხი გენიალური ნიჭისა და გონებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. პატარა ლუკა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე „ვეფხისტყაოსანს“ ეწაფებოდა და მისი ამგვარი დამოკიდებულებაც ბუნებრივი იყო.

ვაჟა-ფშაველა თელავის სასულიერო სასწავლებელში ექვსი წელი სწავლობდა. ის ყველაფერს აკეთებდა საფუძვლიანი განათლების მისაღებად. მთიელი ახალგაზრდა ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრს კითხულობდა. რადგან მის ცნობისმოყვარეობას ვერ აწვდიდა ნოყიერ საზრდოს სკოლა, ის სხვაგან დაეძებდა საინტერესო ლიტერატურას და ასე ვითარდებოდა.

შემდეგ ვაჟა-ფშაველა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის 2-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში გადმოიყვანეს, სადაც ორი წელი სწავლობდა. აქაც პოეტი სამაგალითო ყოფილა კრივსა და ჭიდაობაში, თუმცა მას სხვა გატაცებაც ჰქონდა. თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ვაჟა უკვე ბევრი ორიგინალური ლექსის ავტორი გახლდათ. სურდა, ამის შემდეგ სწავლა განეგრძო თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მაგრამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო სურვილი ოცნებად დარჩა. იძულებული გახდა, სასწავლებლად ქალაქ გორში გადასულიყო. ჩაირიცხა საოსტატო სემიანარიაში, სადაც ვაჟა-ფშაველა ძირითადად ჰუმანიტარულ საგნებს სწავლობდა. სასწავლებელში იგი დაუდგრომელი ხასიათის, თავისუფლებისადმი სიყვარულით გამსჭვალული, ფიცხი და ამაყი იყო.

ვაჟას სემინარიაში ქართულ ენას ასწავლიდა მიხეილ ყიფიანი, რომელიც შემდგომში მას გვერდში ედგა და ბევრ წარმატების მიღწევაში შეუწყო ხელი. მომავალი პოეტი ძალიან ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურას ქართულ და რუსულ ენებზე. თანატოლები არსებულ სიახლეებს მისგან იგებდნენ (გიგი ხორნაული, 1987: 54).

ივანე ავალიშვილი, რომელიც გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟასთან ერთად სწავლობდა, იხსენებს, თუ როგორ სურდა პოეტთან კარგი და ახლო ურთიერთობა ჰქონოდა. იგი აღწერს ვაჟას, როგორც სანდომიან, მაღალ და ბრგე ტანის კაცად, რომლის მადლიანი სახე და „არწივისებური სახის გამომეტყველება ერთი შეხედვით იქცევდა უცნობის ყურადღებას“ (მარინე ბეჟანიძე, სარგის ცაიშვილი, კაი ყმა, 1986: 11).

სემინარიაში სწავლის პერიოდში ვაჟა-ფშაველა თანამშრომლობდა ჟურნალ „რიჟრაჟთან“, სადაც აქვეყნებდა სალიტერატურო რეფერატებს.

სემიანარიაში ვაჟას რეფერატი წაუკითხავს ნიკოლოზ ბარათაშვილზე, მას განუხილავს ლექსი „მერანი“ და ერთმანეთისთვის შეუდარებია ბარათაშვილისა და ბაირონის შემოქმედება. იგი ბაირონის შემოქმედებას პესიმიზმით გამსჭვალულს უწოდებს, ბარათაშვილთან კი იგი ხედავს ჯანსაღი, ნათელი მომავლის (ყუბანეიშვილი, 1937: 146).

ასეთი ფაქტები გვიჩვენებს სემინარიაში სწავლის პერიოდში ვაჟას გონებრივ განვითარებაზე. ამას მოწმობს დიმიტრი ყიფიანის ნაამბობი ვაჟაზე. როგორც დიდი ქართველი მამულიშვილი იხსენებს, მასწავლებლად მუშაობის პერიოდში გაცნობია ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებსა და ნააზრევს, რამაც დაარწმუნად ახალგაზრდა მთიელის უკიდეგანო მწერლურ ნიჭიერებასა და ღრმა განსწავლულობაში. (ყუბანეიშვილი, 1937: 145).

80-იან წლებში ვაჟას კავშირი ჰქონდა ხალხოსანთა კონსპირაციულ წრესთან. მისი მსოფლმხედველობრივი განვითარების დახასიათებისას აუცილებელია ვახსენოთ დიმიტრი ყიფიანის მიერ განახლებული ხალხოსანთა წრე, რომელშიც აქტიურად ჩაება გორის მოაზროვნე ახალგაზრდობა, კერძოდ სემინარიის მოსწავლეები, რომელთა შორისაც იყო ვაჟა-ფშაველა. პოეტი ესწრებოდა კრებებს, კითხულობდა როგორც თავის ნაწარმოებებს, ასევე რეფერატებსაც.

სწორედ აქ გაიცნო სოფრომ მგალობლიშვილმა გენიალური ვაჟა და მისი დახასიათებით: „მაშინდელი ვაჟა ნამდვილი მთის არწივი იყო, ყოჩაღი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობრისათვის თავდადებული, გამჭრიახი, წყლიანი მოლაპარაკე“ (ხორნაული, 1987: 58)

ხალხოსანთა იდეებისა და საქმიანობის მიმართ ვაჟამ მალე დაკარგა ინტერესი. როგორც ალექსანდრე გარსევანიშვილი აღნიშნავს, ლუკა ხალისით აღარ დადიოდა და აღარ ესწრებოდა კრებებს. მომავალი მწერლის ცხოვრებაში ახალი ინტერესი ჩნდება და პოლიტიკას ლიტერატურა ენაცვლება. მიუხედავად რევულუციური მუშაობისადმი ინტრესის განელებისა და ამხანაგებისადმი ხშირად ცინიკური ურთიერთობისა, მასში

ხედავდნენ უდიდეს ადამიანს. - წერს ალ. გარსევაშვილი (ბეჟიტაძე, ცაიშვილი ს., კაი ყმა, 1986: 59)

საოსტატო სემინარია ვაჟა-ფშაველამ 1882 წლის 1 ივლისს დაასრულა. ამის შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სოფელ ამტნისხევში, ერწოში, სკოლის მასწავლებლად. ამ სოფელში ძირითადად გუდამაყრელები და ხევსურები ყოფილან დასახლებული. იგი ხალხის მეგობარი და დამცველი იყო, გლეხების დაჩაგვრას არავის პატიობდა. ამ მიზეზით ვაჟას უთანხმოება ჰქონდა მემამულე ხიმშიაშვილთან, რომელიც ერწოს მიწებს და იქ მცხოვრებ გლეხებს დაჰპატრონებოდა. ამ და სხვა საკითხების გამოსაძიებლად სკოლის სარევიზიოდ მაშინდელი სახალხო სკოლების დირექტორი დარსკი დაინტერესდა. „გამოძიების“ შედეგად ვაჟა სკოლიდან გამოუშვეს. სწორედ, ამ პრობლემის გამო ვაჟამ დაწერა ლექსი „მთიელის გოდება“, რომელიც მაშინ არ დაუბეჭდავს. ამ პოეტური ნაწარმოების ოთხ სტრიქონს იხსენებს ვაჟას ძმა სანდრო რაზიკაშვილი:

„ვერ შემაშინებ ბილწო თათარო,

თვალთა ბრიალით, კბილთა ღრჭენითა,

ვერ შემაძულებ ჩემ მოძმე ქართველთ,

თუნდ გადმიწყვიტო დაწვა ცეცხლითა...“ (ბეჟიტაძე მ., ცაიშვილი ს., კაი ყმა, 1986: 317).

პირველი შეჭიდება ცხოვრების უკუღმართობასთან, ქვეყნის ბოროტ ძალებთან, მარცხით დამთავრდა, მართალია, ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამ ამბავს არ შეუშინებია და არც ფარხმალი დაუყრია. იგი თბილისში ჩავიდა იმ განწყობით, ქველმოქმედი და ღირსეული ადამიანების ფინანსური დახმარებით რუსეთში გაემგზავრებოდა განათლების მისაღებად, მას ხომ არ აკმაყოფილებდა აქამდე მიღებული განათლება.

1883-84 წლებში ვაჟა-ფშაველა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, როგორც თავისუფალი მსმენელი. პოეტი არ აცდენდა ლექციებს, თუმცა განათლების

ხარისხით კმაყოფილი არ იყო. სიღარიბის გამო, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

სწორედ, პეტერბურგში ყოფნის დროს ლუკა რაზიკაშვილს ფშაველმა მეგობარმა დიმიტრი ცისკარიშვილმა ფსევდონიმი „ვაჟა-ფშაველა“ უწოდა. დიმიტრიმ კარგად იცოდა, ვაჟას მშობლიურ კუთხეში „ვაჟა“ ღირსეულ ადამიანს და მამაცს ნიშნავდა. ვაჟამდე „ვაჟა“ სახელად არ გამოიყენებოდა. პოეტს მეგობარი ხან ვაჟას უწოდებდა და ხან ფშაველას. მერე შეერწყა ეს ორი სიტყვა და 1886 წლიდან ლუკა რაზიკაშვილმა დაიმკვიდრა ფსევდონიმად „ვაჟა-ფშაველა“.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟა შინამასწავლებლად იწყებს მუშაობას სოფელ ორთაშენში, ამილახვრის ოჯახში. მწერალმა აქ გაიცნო პირველი ცოლი ეკატერინე, იგივე კეკე ნებიერიძე, რომელიც ამილახვარის უკანონო ასული იყო. იგი როდესაც ვაჟაზე გათხოვილა უკვე ქვრივი ყოფილა. ეკატერინეს ახასიათებენ ძალიან ლამაზ, გულკეთილ, თავმდაბალ, სათნო და ადამიანთა მოყვრულ არსებად. კეკე 1902 წელს, ძეობის დროს, 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვაჟას მისგან ერთი ვაჟი და სამი ქალი დარჩა. შემდეგ ვაჟა-ფშაველამ შეირთო დიდებაშვილი თამარი, რომლმაც ვაჟიშვილი გააჩინა.

მეუღლე ვაჟას ახასიათებს როგორც მკაცრ ქმარს. იგი აღნიშნავს, როცა ვაჟას წერის განწყობა მოუვიდოდა, შეეძლო ყოველგვარი სამუშაო მიეტოვებინა და დაბრუნებულიყო შინ. სწორედ ამიტომ, ხშირად დაუტოვებია საქმესთან ცოლი და შვილები, თვითონ კი საწერად წასულა. ამის გამო მის მეუღლეს ერთხელ გაუბედავს და შენიშვნაც კი მიუცემია ვაჟასთვის, რომ „ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი გყავს შენ კი ზიხარ და ჯღაბნიო“, ამაზე კი მას ასე უპასუხია: „ეეჰ, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო“ (რაზიკაშვილი,1961: 35).

ვაჟა-ფშაველა ამილახვრის ოჯახში დიდხანს არ დარჩენილა. 1886 წლიდან დიდთონეთში ორი წლით მასწავლებლად მუშაობდა. ვაჟა აქ არა მხოლოდ სკოლის პედაგოგად, არამედ სოფელში განათლების სიყვარულის მქადაგებლად გვევლინება. პოეტი მასწავლებლის სარბიელად თვლიდა არა მარტო სკოლას, არამედ მთელ სოფელს.

სკოლაშიც და მოსახლეობაშიც ერთიანად, ერთი ძალით, გაბედულად გააჩაღა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ვაჟას სურდა, ბავშვების აღზრდა-განათლებაში მშობლების როლის მნიშვნელობაზე გაემახვილებინა ყურადღება. აქ კარგად ჩანს მწერლის დამოკიდებულება მშობლებისა და შვილების მიმართ. მისთვის უპირველესია ოჯახური ღირსება, სიყვარული და სიწმინდე. როგორც ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა, ყველა ადამიანი კეთილი იბადება და შემდეგ ბოროტდება გარშემო მყოფთა მიზეზით, დანაშაულს ჩადიან მის წინაშე როგორც ოჯახის წევრები, ისე საზოგადოების წარმომადგენლები.

უარყოფითი თვისებები ბავშვის გულსა და გონებაში თანდათან იკიდებს ფეხს და უარყოფით შედეგებამდე მივყავართ.

„ცოლ-შვილში ხშირად თავდაუჭერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვშვრებით, არ უყურებთ არც გონებას, არც სვინდისს. ბავშვის მახვილი გონება ამას იბეჭდავს გონებაში და გულში, მოსწონს, კარგი ჰგონია. არც ერთი სიტყვა და საქმე, რომლისაც ჩვენ თვითონ გვრცხვენიან შემდეგ, ბავშვებს არ გამოეპარება.

ამიტომ, რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის, თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკბობას ვერ მოვესწრებით.

დედ-მამამ უნდა შვილებს შესწირონ თავისი სიცოცხლე. უმეტესი ჩვენი ფიქრი, ყურადღება შვილებზე უნდა იყოს მიქცეული. თუ შვილები გვეყვარება, რასაკვირველია, იმათაც შეუყვარდებით; რაკი დაინახავენ, რომ გვიყვარს შვილები, გვენდობიან კიდეც, რჩევას გაგვიგონებენ, მაგალითს ჩვენგან აიღებენ და ეცდებიან ჩვენ დაგვემსგავსონ.

ყმაწვილს თუ დედ-მამის რჩევა, სიტყვა არ სწამს, საქმე მორჩომილია, არც მაგალითს ექნება ძალა.

თუ გინდა ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც უნდა ვსთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები.

ცხოვრებაში ბევრს განსაცდელს მოელის კაცი, ბევრჯერ დასჭირდება იმას ტყუილის თქმა. ამიტომ მშობლებმა უბრალო ხუმრობაშიც ტყუილს უნდა თავი დაანებონ.

შვილები რაკი გვეყვარება, სასტიკად, მხეცურად არ მოვეპყრობით. შურით და ცემით ბოროტი კაცი ვის გაუკეთილებია?

ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი - არასოდეს, სული, მხოლოდ სული მოქმედებს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულს.

სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება“ (გიგი ხორნაული, 1987: 91).

გარდა მასწავლებლობისა, ვაჟა აქაც გლეხების დამცველად გვევლინება. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებაში ყოველთვის ჩანს სამართლიანობისაკენ სწრაფვა და სიმართლის ძიება. მორალური და ზნეობრივი ღირებულებები მისი ცხოვრების უპირველეს პრინციპად იყო ქცეული, რაც დიდ პოეტს ბევრ დაბრკოლებას უქმნიდა.

ვაჟას დიდთონეთშიც მოუხდა ჩხუბი ადმინისტრაციასთან. ის დააბეზღეს მაზრის უფროსთან. მწერალი უდანაშაულო იყო და ადგილობრივ მოსახლეობას სურდა მისი დარჩენა, მაგრამ საბოლოოდ ვაჟა იძულებული გახდა, მშობლიურ სოფელ ჩარგალში დაბრუნებულიყო.

პოეტი ამიერიდან განაგრძობს წინაპრების გზას და ძალიან მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. ხელმოკლე მწერალი მიწათმოქმედებას ასრულებს, კალამთან ერთად მძიმე ფიზიკურ მუშაობას ემეგობრება. მას გვერდში უდგას ცოლი ეკატერინე, რომელიც გუთნისდედობისას ხარებს წინ მიუძღვის და მეხრის მოვალეობას ასრულებს. ვაჟას მეგობარი მ. შამანაური ასე იხსენებს შემოქმედის ნათქვამს: „რა ვქნა, ძმაო, თუ ეს მიწა არ ვჩიჩქნე და პური არ მოვიყვანე, ყველანი მშივრები დავიხოცებით, რადგან ჩემი პოეტობა - მწერლობა ნავთის და მარილის ფულს ძლივს მაძლევს“ (გიგი ხორნაული, 1987:117).

იგი ასევე ხშირად ამბობდა: „მთელი ჩემი ცხოვრება პარადოქსია: როცა ვხნავ - პოეზიაზე ვფიქრობ, როცა ლექსებს ვწერ - პრაქტიკულ საქმეებს ვსაზრიანობ. ხან ერთი მიშლის ხელს, ხან მეორეო“

((https://setterii.wordpress.com/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/)

სიმართლის მოყვარული ვაჟა ვერასოდეს ეგუებოდა უსამართლობას. მას ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა მეფის მოხელეებთან, რომლებსაც ხალხის და ქვეყნის ბედი არ ანაღვლებდათ, ისინი მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. პოეტმა ბევრი სიმწარე იწვნია მათთან ბრძოლაში, მაგრამ ამან გული ვერ გაუტეხა და ხელი ვერ ააღებინა ცხოვრების ღირსეულ პრინციპზე.

ვაჟას მთაში განსაკუთრებით მეტყევეებთან ჰქონდა ხელჩართული ბრძოლა, რადგან ფიქრობდა და იცოდა, რომ ისინი ტყის დაცვისთვის კი არ იყვნენ, არამედ გადასახადების ასაკრებად. მთის შვილმა კარგად ჰქონდა გათავისებული, რომ მეფის მთავრობას ვერაფერს შეაცვლევინებდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, არ მოსწონდა ხალხის საძარცვავი კანონი.

ვაჟა-ფშაველა ხშირად ფშაველებისა და ხევსურების დამცველად გვევლინება. ივანე გორზამაულის ნაამბობით: „ვაჟა ფშავ-ხევსურეთის ადგილს ედავებოდა ხელმწიფეს, ის ამტკიცებდა, რომ ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყალი ერეკლე მეფემ აჩუქა ფშაველებს, ხევსურებს და მათ ეკუთვნისო. იგი ხალხისაა, მეფის რუსეთს და მის ხაზინას არავითარი უფლება არა აქვს ბაჟი აიღოს ამ ადგილებიდანო. დაიწყო ამის შესახებ დავა. ამ ბრძოლაში ვაჟამ გაიმარჯვა და მთიელებს დაუსაკუთრა თავისი მიწა-წყალი. წერს ივანე გორზამაული (ბეჟიტაძე, 1986: 85).

ოცნებები ჰკვებავდა გენიალურ პოეტს, მაგრამ ხშირად ცხოვრების სიმკაცრეც შემოუტევდა ხოლმე. ხანდახან ეჩვენებოდა, თითქოს ახალგაზრდობა და ძალა დაკარგული ჰქონდა, ზოგჯერ კი შეუზღუდველ სულიერ ძალებს გრძნობდა და ცდილობდა მოდუნებული ხალხის გამოფხიზლებას, ქართველი ხალხის გონზე მოყვანას. ვაჟა-ფშაველა ყოველთვის ქართველ ხალხზე ზრუნავდა, ის არასდროს ჩაკეტილა ფშავის ვიწრო ხეობაში. მას უნდოდა ქართველი ერის შეგნება აეყვანა

მწვერვალებამდე. თავისი ქართველობითა და მოქალაქეობრივი სულით მუდამ მიისწრაფვოდა ამ ვაჟკაცური საქციელისაკენ.

ამ დროისათვის ვაჟა უკვე სახელგანთქმულ მწერლია. მას უკვე შექმნილი აქვს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები.

ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან მწერალი ძალიან მცირე ჰონორარს ღებულობდა, ამიტომაც უჭირდა თავის დაღწევა ფიზიკური შრომისა და სიღარიბისაგან.

1890 წლის დასაწყისში ციმბირის წყლულმა ვაჟას მარცხენა თვალი დაუსახიჩრა. მთის მგოსანი ძირითადად ღამით, მთვარის შუქზე წერდა. ღარიბი პოეტი თავისი გაჭირვების მიუხედავად, არასოდეს კარგავდა ღირსებას. ხანდაზმულობის ჟამს სამდურავი წამოსცდებოდა ხოლმე: „მეყოფა ამდენი ძაღლუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს, მე რომ ქალაქში ვცხოვრობდე, უეჭველია, ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებსო“ (ყუბანეიშვილი, 1937: 369).

ვაჟას არწივისებური გამოხედვა ჰქონდა. მის შემოხედვასა და ლაპარაკში იგრძნობოდა, რომ ის გახლდათ ფშავის ლაღი ბუნების თავისუფალი შვილი: თამამი, შეუდრეკელი და შემმართებელი. თავისუფალი ბუნების შვილი ვერ უძლებდა ქალაქურ ცხოვრებას და გაურბოდა კარჩაკეტილი ოთახის ჰაერით სუნთქვას. თედო სახოკია როგორც წერდა, იგი მუდამ მიისწრაფვოდა მთისაკენ, „რომელსაც მისთვის აკვანი ურწევია და მის უებრო, ზეციურ მეხოტბედ და გუნდრუკის მკმეველად, ქაღალდზე მისთა ათასგვარ საიდუმლოებათა და გრძნობათა გამომხატველად გამოუზარდია...“ - იხსენებს თედო სახოკია (ბეჟიტაძე, 1986: 339).

ჩაცმა-დახურვით ვაჟა უბრალოდ იცვამდა: ტანზე ჩოხა-ახალუხს, ფეხებზე ხან ყელიან ჩუსტებს, ხან ჩექმებს ატარებდა. თავზე ტყავის ქუდს იხურავდა, წელზე კი ხანჯალს ირტყამდა და თუ სადმე შორს დააპირებდა წასვლას, მაშინ ხმალსაც ჩამოიკიდებდა. ასევე არ ივიწყებდა თავის თოფს და ნაბადს.

ვაჟა ნამდვილი გმირი იყო, თავისი აღზრდითა და თავისი ცხოვრების სტილით, მან ნამდვილი გმირული გზა განვლო ჩამორჩენილი მთიდან კულტურულად დაწინაურებული ბარისაკენ.

გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ ვაჟა სამუდამოდ მთაში რომ დარჩენილიყო, ფშავის მივარდნილ თემში, შეიძლება მას თავისი წილი შეეტანა ხალხური პოეზიის განვითარებაში, მაგრამ ჩვენთვის ის დღესაც ისევე უცნობი იქნებოდა, როგორც უცნობია მრავალი ანონიმური პოეტი, რომელთაც ქართული მდიდარი ფოლკლორი შექმნეს. არსებობს მეორე მხარეც, ვაჟა მთას რომ მოწყვეტილიყო და საბოლოოდ ბარში დასახლებულიყო, შეიძლება მნიშვნელოვანი მწერალი გამხდარიყო, მაგრამ მის შემოქმედებას არ ექნებოდა უშუალობისა და ორიგინალობის ელფერი, რაც მას გამოარჩევს და მისი შემოქმედების მომხიბლაობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქიქოძე. 1986)

ვაჟას თავისუფლად შეეძლო თავისი ავტობიოგრაფიის ეპიგრაფად გამოეყენებინა ის ხალხური ლექსი, რომელიც თავის ეთნოგრაფიულ წერილში მოჰყავს ფშაველების გმირობის, იდეალების დასახასიათებლად:

„კაი ყმა ლაშქარს მოკვდება

სწორების მჯობინობასა,

ცუდაი - ბოსლის ყურესა,

ქალებთან ლოგინობასა“ (ქიქოძე, 1986: 364).

ვაჟას წინაპართაგან ნაანადერძევი ხასიათი ჰქონდა. ამ ხასიათის უპირველესი თვისებებია: უტეხობა, მეომრული სიქველე და სიამაყე. სწორედ, ამ თვისებების გამო იყვნენ ვაჟას წინაპრები თემის თავკაცები და სოფლის მოსარჩლენი. მათი ცხოვრების წესი შეუვალად ტრადიციულია. ათასი წელი არ შეცვლილა ეს ტრადიცია, მაგრამ დროის სული თავისას ითხოვს და სწორედ, ვაჟას მამა არღვევს ტრდიციის ამ დახშულ წრეს.

საოცარ პიროვნებად აფასებს ვაჟას დავით კლდიაშვილი: „იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული“ (ბეჟიტაძე, 1986: 137).

ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რომლის მსგავსი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში იშვიათად განმეორებულა, ვაჟამ თავის პოეზიაში მოგვცა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულებების შერწყმა. ერთი მათგანი ლამის პრეისტორიულ პერიოდს ეკუთვნის, მეორე მათგანი კაცთა მოდგმის განვითარების ბოლო ეტაპს ასახავს. ვაჟა-ფშაველას მხატვრულ მემკვიდრეობაში ორგანულადაა შეერთებული სამყაროს დილის და საღამოს, გულწფელი, მიამიტი ყრმობისა და ზრდასრული ვაჟკაცობის შეგრძნება. ვაჟა გვიხატავს გმირებს, რომელთაგან ზოგი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, რომლებიც უზრუნველად თამაშობენ უცოდველი ბუნების წიაღში, ზოგიც კიდევ დაფიქრებული, შუბლდანაოჭებული, მტანჯველი ცხოვრება გამოვლილი ბრძენია.

ვაჟას გარდაცვალების შემდეგ, ყოველივე რადიკალურად შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა. შეიძლება პოეტს დღევანდელი ეპოქა უფრო უცხოდ და გაუგებრად სჩვენებოდა, ვიდრე თავისი. ასევე ჩვენთვისაც თითქოს უცხო და გაუგებარი უნდა გამხდარიყო ვაჟას პოეზია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მისი შემოქმედება ისეთივე ინტერესს იწვევს, როგორც უდიდესი ქართველი კლასიკოსები იწვევენ. უფრო მეტიც, ის მღელვარება, ის პროტესტისა და თანაგრძნობის სული, რომელიც ვაჟას ლიტერატურამ გამოიწვია, დღემდე არ განელებულა, თითქოს ის დღესაც ცოცხალი იყოს და ჩვენთან ერთად იდგეს რაინდული სულით სამშობლოს და ქართველი ხალხის გვერდით.

ნებისმიერ შემოქმედ პიროვნებას, რა დარგშიც უნდა მუშაობდეს იგი, არ შეუძლია მხოლოდ მისმა მხატვრულმა მიღწევებმა აათრთოლოს და აღაშფოთოს თავისი დროის პირმშონი ან უფრო მეტი, მომავალი თაობანი: აუცილებელია, შემოქმედმა საკუთარ მამულიშვილურ საქმიანობაში, თავის აზროვნებაში, პიროვნულ თვისებებსა და

აღიარებულ მაღალზნეობრივ ღირებულებებში იპოვოს ანკარა წყაროს წყალი, რომელთაც უდაბნოს უკიდგანოდ მოწყურებული მექარავნეებივით დაეწაფებიან ყველანი, ვინც კი ჭეშმარიტ კაცთმოყვარეობას არის მოწყურებული.

თუ დღეს ვაჟა-ფშაველას მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას ვაფასებთ, თუ მის პოეზიაში ცოცხალ მაჯისცემას ვგრძნობთ, ეს რასაკვირველია, აიხსნება არა მარტო მისი პოეზიის წმინდა მხატვრული ღირსებით, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ იგი თავისი მოქალაქეობრივი იდეალებითა და თავისი მსოფლმხედველობით უშუალოდ ეხება ჩვენს ეპოქას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წერს: „ვაჟა-ფშაველა არა მარტო თავისი ეპოქის განსაკუთრებული მოვლენაა, იგი ღირსება და დიდებაა ზოგადად ქართული მწერლობისა და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურისაც... სიღრმითა და სიბრძნით გამორჩეული მისი პუბლიცისტური წერილები, სულისშემძვრელი პროზა თუ უბადლო პოეზია დღესაც საოცრად თანამედროვე და დამატყვევებელია. იგი ხავსს არასოდეს მოიკიდებს, რადგან მარადიულობასთან არის წილნაყარი“ (ილია II, 2011).

1915 წლის დასაწყისში მწუხრი დადგა ვაჟა-ფშაველას ცხოვრებაში. პოეტი დასნეულდა და ფეხზე ვეღარ დებოდა. ბუნებრივია, მიზეზი მძიმე პირობები იყო ცხოვრებისა, გაცივდა. ორ თვეში, აპრილში დაავადებული მთის არწივი დედაქალაქს ეწვია, სადაც მას 23 მაისს მას დიდი საიუბილეო საღამო მოუწყეს, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა. ავადმყოფი პოეტი ისევ ლოგინად ჩაწვა. ვაჟა-ფშაველა პლევრიტით იყო დასნეულებული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა და რთულდებოდა.

დაუძლურებული პოეტი გრძობდა აღსასრულის მოახლოებას, ერთადერთი სურვილი ჰქონდა. სურდა ერთხელ მაინც დამტკბარიყო უსაყვარლესი ფშავით, მისი სუფთა ჰაერითა და ანკარა წყაროთი. სიცოცხლესთან გამოთხოვებისას ლოგინი იატაკზე დააგებინა და ყვავილები დაალაგებინა. ცდილობდა, იქნებ ასე მაინც ადვილად წარმოესახა და ოცნებით ჩასახლებულიყო მშობლიურ მთაში.

ვაჟა-ფშაველა 1890 წლის 22 ოქტომბერს გარდაიცვალა. 59 წლისა. იგი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მიაბარეს მიწას.

მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია ვაჟა-ფშაველას გენიალური მხატვრული შემოქმედება. ვაჟამ ძალიან კარგად იცავდა გამყოფ ზღვარს ლიტერატურულ და ხალხურ მეტყველებას შორის, მაგრამ მან მიზანმიმართულად აირჩია ხალხური მხატვრული მეტყველება, რომელსაც ვაჟასთვის შეუზღუდველი და სტიქიური დინების ხასიათი გააჩნდა. პოეტი ამას ადასტურებს მაშინ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს და საუბრობს ამ ნაწარმოების ხალხურობაზე. მაგალითად მოჰყავს ის, რომ „ვეფხისტყაოსნში“ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა აქვს. ვაჟასთვის ეს უფრო მისაღები აღმოჩნდა ანუ გადახვევა „ლიტერატურობის“ გზიდან და ფორმალურად დაახლოება ხალხურთან. მან უარყო ცნობილი ფორმები, მხატვრული ელემენტების უმწეო სტილიზაცია და მიიჩნევდა, რომ ეს არ იყო ქართული პოეზიის სპეციფიკური, ეროვნული თვისება. ვაჟა მინიმალურად იყენებს გარეგანი სამოსელის გასამდიდრებლად მხატვრულ საშუალებებს ანუ შორდება მწიგნობრულ პოეზიას და სტროფიკისა და ტაეპთა გარითმვის სფეროშიც იზიარებს ხალხურისათვის დამახასიათებელ მომენტს.

მწერალს ბევრი ორგანული, აუცილებელი, სპეციფიკური და განუმეორებელი ნიშნები ახასიათებს. ამ საკითხზე ვაჟა თავის წერილებში საუბრობს: „ნიჭიერი მწერალი“, „სად არის პოეზია“, „ენა“ და სხვ. ვაჟა-ფშაველა წერს: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა” უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, მწერლის სულია. ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე”. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, თუ ერთი ორი რამ წაგიკითხავს წინათ, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იგრძნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის. ამ განსაკუთრებულს დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილ საცნობლად? ეს გახლავთ „ენა”, რაშიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლა-დიდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილისა იქ არის ჩაწმახული. მწერალს უნდა ჰქონდეს საკუტარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებები, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინცა

და მაინც ტავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას“ (ვაჟა-ფშაველა, 1956: 309).

ვაჟა თვლის, რომ ნიჭიერ მწერალს საკუთარი „ენის“ გარდა ღირსებაც უნდა გააჩნდეს. ნიჭიერ მწერალს შინაგანი ღირსება უნდა ჰქონდეს, მნიშვნელოვანია მწერლობის საგნად რა აქვს ქცეული და რა ღირებულებებით მოღაწეობს. ყველაფერს განსაზღვარვს ის გარემოება, თუ რაოდენ კარად იცნობს შემოქმედი წუთისოფელს, მის ავსა და კარგს.

ვაჟა-ფშაველას, როგორც რეალისტს, მწერალი ვერ წარმოუდგენია ადამიანთაგან გამდგარი, მაყურებლის პოზაში, ცხოვრების ორომტრიალის გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება დიდ მწერლებს. „გენიოსი სდუღს, იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდუღს და ნახევრად მოხარშულიცაა იმის გულში. გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მასამედად ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ, არ შეუძლია აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან. გენიოსთა ნაწარმოები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე, - კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი” (ვაჟა-ფშაველა,თბილისი, 1956: 310).

ვაჟა ტენდენციურობასაც იცავს მწერლობაში: “ტყუილად ვინმე იტყვის იმას, რომ ეგ ტენდენციური პოეზიის საქმეა და არა სინამდვილის პოეზიისაო, ეს უსაფუძვლო თქმა იქნება, რადგანაც ყველა პოეტური ნაწარმოები, ასეა თუ ისე, ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა ჯურისაა და ამიტომ ადვილად ერთი ეჩვენება გამოუცდელს მკითხველს ტენდენციად და მეორე კი არა... დიაღ, პოეზიისათვის სათაკილო არ არის ერის საჭიროებას ემსახუროს და ამისთვის შექმნას ტიპები – რეალური თუ იდეალური...” (ვაჟა-ფშაველა, რამე-რუმე, IX, 1964: 403).

თავი II. ვაჟა-ფშაველას ერისა და ქვეყნის ერთგული პერსონაჟები

ვაჟა-ფშაველა ყველა დროის მწერალია. მისი გენიალურობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იგი უსწრებს თავის ეპოქასა და თანამედროვეობას. მისი შეხედულებები ჰუმანიზმზე, რაინდობაზე, პატრიოტიზმზე არასდროს დაკარგავას მნიშვნელობას და ბუნებრივია, დღესაც აქტუალურია.

სამშობლოს ბედი, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებზე დგას, რომლებმაც ქვეყნიერების არსებობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მისია იტვირთეს. პიროვნებებზე, რომლებმაც თავიანთი უნარის, დროის, ძალისხმევის, ცოდნის, ენთუზიაზმის - ყველანაირი ადამიანური რესურსის უდიდესი ნაწილი სამშობლოს კეთილდღეობას მიუძღვნეს. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები მრავლად ჰყავს ჩვენს ქვეყანას, რომლებიც ფიზიკური და სულიერი ღირსებითაც გამოირჩევიან. ისინი: მეფეები, ჯარისკაცები, ექიმები, მწერლები და ხშირად უბრალო ადამიანები არიან.

ერისა და ქვეყნის ერთგულია გენიალური მწერალი ვაჟა-ფშაველა. მთელ მის შემოქმედებას და პატრიოტულ შეხედულებებს საფუძვლად უდევს პოეტის წარმომავლობა, მთა, ადგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

ძველ დროში მთიულებს დედა სამშობლოს მიმართ მეტად საპატიო და ამასთან საპასუხისმგებლო მოვალეობა ჰქონდათ, ისინი მესაზღვრეები იყვნენ და ევალებოდათ ყოველთვის ფხიზლად ყოფნა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, რაც ძალიან

ხშირად ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთაგან. ფშაველები, ხევსურები, მთიულები, თუშები მუდმივად ხიფათსა და განსაცდელში იყვნენ. ამიტომაც ქართველ მთიელს უპირველეს მოვალეობად თავდაცვისა და საზღვრების სიმტკიცისათვის ქვეყანაზე ზრუნვა ჰქონდა გადაქცეული. ქართული მთის ზეპირსიტყვიერებაც ამას მოწმობს, სადაც ხშირია თემა ბრძოლისა, გმირობა-ვაჟკაცობისა, მტერთან შებმისა, სინდისისა და სიცოცხლის დაცვისა.

ფშავი მთებითაა გარშემორტყმული და თავადაც მთიანია, ერთადერთი შესასვლელი გზა არაგვის ხევია, თუ საცალფეხო ბილიკებს არ ჩავთვლით, რომლებიც ხევსურეთს და თუშეთს გადადიან. განსაკუთრებულად მიმზიდველი და ლამაზია ფშავის ბუნება, მაგრამ ამავდროულად მკაცრიც. მაღალი ტყიანი მთები, მჩქეფარე წყალვარდნილები, მდინარის ხმით აღსავსე ვიწრო კალაპოტები, მთის ფერდობებზე შეხიზნული სახლები, რომლებიც ნაგებია სიპითა და ფიქალით, სახნავ-სათესი და სათიბები საოცარ ელფერს სდებს იქაურობას.

ფშავის ნებისმიერი ხევი, მთის მწვერვალი, მიწის ყოველი მტკაველი გმირთა და ვაჟკაცთა სისხლით არის გადაბანილი, რაც საგმირო-სავაჟკაცო და ისტორიულ თქმულებებსა და ლექსებშია.

გრძელ ისტორიულ გზაზე ფშავის მოსახლეობა დიდ მონაწილეობას იღებდა ყველა დიდ და მცირე ამბავში, რაც საქართველოს გადახდენია, თუმცა მაინც ჩაკეტილი და განცალკევებული რჩებოდა თავისი შეხედულებებითა და საზოგადოებრივი ზნეობით. ბარში საზოგადოებრივი ცხოვრება ფორმაციათა მონაცვლეობით ვითარდებოდა, მთის მცხოვრებთა ტრადიციები და წესები მეტად მტკიცე აღმოჩნდა, ერთხელ დაკანონებული და დამტკიცებული უცვლელად აგრძელებდა ცხოვრებას.

ვაჟა-ფშაველას დროს ფშავის მდგომარეობა სხვაგვარი იყო. საქართველოს ამ კუთხეს არსებობის საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გავლილი. აქ უძველესი დროიდან ყალიბდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება.

ფშაველები თავისი მთების სიმაღლეებიდან იყურებოდნენ ბარისკენ, ნისლში გახვეული ვერ არჩევდნენ საუკუნეთა და ისტორიულ გარემოებათა ცვლილებებს. ამ

კუთხის შვილები მეტი მგრძნობელობითა და აზრის სიმახვილით გამოირჩეოდნენ და ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ძველი, მამა-პაპური წესები.

მთიელები ოდითგანვე პატრიოტული თვისებებით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად მათი სიმცირისა, ისინი ისეთი გმირული, ისეთი ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რომ ბევრ დიდ სახელმწიფოსაც შეშურდებოდა მათი. ყველანაირი ჯურის მტერი შესევია, ბევრს უცდია მათი დაპყრობა, ყველასთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ და თავისუფლება არ დაუთმიათ. როგორც კი მტრის ხმას გაიგონებდნენ, ფუტკარივით გამოიშლებოდნენ და თავდაუზოგავად აკვდებოდნენ, რადგან მათთვის სამშობლოს მტერთან ბრძოლაში სიკვდილი „სათემოდ შესამღერი“ იყო.

სწორედ ასეთი კაი ყმები იყვნენ პროტოტიპები ვაჟას პერსონაჟებისა: ალუდა ქეთელაურისა, ზვიადაურისა, გიგლიასი, ლელასი, ბერი ლუხუმისა, სანათასი, კვირიასი და სხვების.

ვაჟა-ფშაველა უდიდესი პატრიოტია. როდესაც ვაჟა პუბლიცისტურ წერილში „ფიქრები“ მწერლის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე საუბრობს, მას უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმული აქვს პატრიოტული და ეთიკური მხარე შემოქმედის მოღვაწეობისა. „მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რაიმე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე, თუ არა. თავი და თავი აზრი მიწის შვილთა, ჩემი ფიქრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიავ-სიკეთე. მწერალი კიდევ, როგორც გამომხატველი ცხოვრებისა, უსათუოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძნობა იმას უნდა დაჰფოფინებდეს, თვით ცხოვრებიდანვე, გამომდინარი, თვით ცხოვრებისაგან შობილი. უიმისოდ მწერალი უაზრო ხმაა, გაურჩეველი, გაურკვეველი, ყველასათვის გაუგებარი“ (ვაჟა-ფშაველა, IX, 1964: 135)

პოეტს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარული, თვლის, რომ ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა უყვარდეს სამშობლო, და რაღა თქმა უნდა პატრიოტული გრძნობა აუცილებლად დიდ შემოქმედსაც გააჩნია. თავის წერილში „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ პოეტი აღნიშნავს: „ამისთანა თხზულებას, როგორც „ვეფხისტყაოსანია”, ვერ დასწერდა გადაგვარებული, ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობას

მოკლებული პოეტი, რადგან დიდებული ნაწარმოების ავტორნი, მსოფლიოს გენიოსები, დიდი პატრიოტები იყვნენ. განა შეიძლება შოთა რუსთაველი წარმოვიდგინოთ ისე, რომ იმას არ უყვარდა საქართველო, ქართველები, სამშობლო ქვეყნის მთები, მდინარეები, გმირები, ან თავის ქვეყნის ისტორიული იდეალები?" (ვაჟა-ფშაველა, IX, 1964: 308).

პატრიოტი პოეტისთვის სამშობლოს სიყვარული ქვეყანაზე მოვლენისთანავე ებოძება უფლისგან. იგი გრძნობის საქმეა და არა ჭკუა-გონებისა, „თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი" (ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1956: 280).

ვაჟას განსაკუთრებით საინტერესოდ აქვს აღწერილი პატრიოტიზმთან ერთად კოსმოპოლიტიზმი საკუთარ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი". მისთვის ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია და პირიქით. იგი ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარ ერს ემსახურება კეთილგონირად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით იგი ხელს უწყობს კაცობრიობის განვითარებას. „თუ მთელის ერის განვითარებისათის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა." (ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1956: 280). ვაჟა-ფშაველას აზრით ნამდვილი პატრიოტიზმი არ ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს. „მეცნიერება და გენისოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლდო პატრიოტიზმის ნაციონალიზმის მეოხებით" (ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1956: 281).

ვაჟა ბევრჯერ უბრუნდება პატრიოტიზმის საკითხს. მისთვის ნამდვილი, სანდო და მოაზროვნე, მხატვრული სიტყვის მშობელი მხოლოდ დიდი პატრიოტია, მას ასულუდგმულებს მშობელი ქვეყნოს სისხლი, საზრისი მისი მხატვრული მემკვიდრეობისა. გარდა ამისა, ვაჟა ჰუმანურობითაც გამორჩეული პიროვნებაა: „მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი" (ვაჟა-ფშაველა, IX, 1964: 138) აცხადებდა იგი წერილში „ფიქრები". ამავდროულად ვაჟა ალტრუისტია, მას გააჩნია ადამიანთა შებრალების გრძნობა, რაც მისთვის პრინციპული შინაარსისაა. მასში არ მოიპოვება არანაირი პატივმოყვარეობა. იგი ამბობს: თეზაში: „ვფიქრობ, რომ

სიბრალულს სიყვარული სჯობია ბევრად. სიბრალული, ცოტა არ იყოს, ბატონყმური გრძნობაა. მე რა უფლება მაქვს მებრალებოდეს ვინმე, მე, რომელიც იქნება, თვითონ ვიყო შესაბრალისი?" (ვაჟა-ფშაველა, IX, 1964: 138).

წერილების გარდა ვაჟა თავისი პატრიოტული და ზნეობრივ-მორალური შეხედულებების შესახებ ლირიკულ შემოქმედებაშიც საუბრობს. მას საკუთარ ლექსებში აქვს გამოხატული თავისი მშობელი მიწის სიყვარულით ნასაზრდოები მაღალზნეობრივი და ესტეთიკური მოსაზრებანი. მისი ლიტერატურული შეხედულებანი, რომელნიც გამოთქმულია ლირიკულ ნაწარმობებებში, უპირველესად, დიდი ქართველის, დიდინ მსოფლიო ადამიანის და დიდი მოაზროვნის დეკლარაციაა.

სამშობლოს სადარაჯოზე დგომა და მისი დაცვა პოეტს უმთავრეს ვალდებულაბად აქვს წარმოდგენილი, რასაც მრავალგზის აღნიშნავს კიდეც. ვაჟა-ფშაველა წარსულ დროს ყოველთვის უპირისპირებდა აწმყოს, გმირულ ქვეყანას - დაბეჩავებულთა სამშობლოს, „მშიერ ხმალს" - არშნსა და ჩოთქს: ვაჟა-ფშაველა ამაოდ ეძებდა გმირულ სულს თანამედროვეობაში. მისთვის წარსული უფრო გმირობის და ვაჟკაცობის დრო იყო. ასეთი შეგნების ნიადაგზე აქვს შექმნილი ვაჟას ფშაველთა პატრიოტული ბუნების ლექსები. მაგალითად „ფშაველის სიმღერა" პოეტი ამბობს:

„სანამ კი ვსუნთქავ ბედკრული,

შევყურებ მზეს და მთვარესა,

შენს სიბეჩავეს დავაცვეთ

ჩემს დაწყლულებულ მკლავებსა.

თუ გიღალატო, დედაო,

ნუ დასდვან ვაჟის ფშავლისა

ხმალი სატირლის თავშია

.....

შავეთში გამგზავრებულსა

ცხენი წამექცეს წყალშია,

ქვეყნისგან შაჩვენებულმა

ბინა დავკარგო ცაშია,

გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,

ჩავვარდე კუპრის ზღვაშია!“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 910).

ვაჟა-ფშაველა შესანიშნავად ხედავდა, თუ როგორ „გვათრია შავმა დროებამ, ბევრი გვიჩვენა ვაება“ („საახალწლოდ“), ამადაც მამაც და პატრიოტ ქართველებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ძილშიც მშობელი მიწა იყო მისი უპირველესი საზრუნავი („ხმა მესმის“), არ ივიწყებს სახელოვან მამულიშვილთა თავდადებას და თანამედროვეებს გამოსაფხიზლებლად და საბრძოლველად დასარაზმავად, მათკენ მიაპყრობს მზერას, ისტორიულ რეალობას ახსენებს და კაი ყმის ხასიათს გვიხატავს. ლექსში „მოდი, მოხშირდი ჭაღარავ“ ვაჟა წერს:

„ტანზე ამასხა ეკალი

საფლავთ წინაპართ კვნესამა,

აკლდამებიდან მწყრომარედ

იმათმა გამოხედვამა“ (https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems/2669.modimokhshirdi-chagharav.htm)

ან კიდევ

„მკვდრები გვიშავქვრნენ ცოცხლებდა

გულში ჩანაწვეთს შხამასა („ერთობლივ ჩვენამც ვყოფილვართ“, (https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems/2637.ertkhel-ki-chvenats-vkophilvart.htm).

ვაჟა-ფშაველა დიდი რუდუნებით, ღრმა სიყვარულითა და დიდი პატივისცემით გვახსენებს ისტორიული საქართველოს ცხოვრებას, მაგარამ იგი ამით არ გაურბის თანამედროვეობასა და მის თანმდევ პრობლემებს. იგი გულნთებული სამშობლოს

სადარაჯოზე დგას, მისთვის იღწვის და მზადაა, მისი კეთილდღეობისათვის ყველა წინააღმდეგობა გადალახოს. გავიხსენოთ მისი ლექსი „მძულხარ მიყვარხარ“:

„.... მძულხარ იმიტომ, უძლური

რად ხარ ძლიერი მკლავით,

მტირალი სახით, და შენი ბედი, ბედი შავ-ბედი

რად შემოსილა სულ მუდამ შავით.

... მაინც მიყვარხარ, ჩემს წყლულს ოცნებას,

ზედ აკერიხარ ალმასის ღილად;

ვერ დაგივიწყე, გულს არ ჰშორდები,

მღვიძარე ვარ, თუ მივიქცე ძილად“.

პატრიოტული სულისკვეთებისაა ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთი ძალიან ცნობილი ლექსი „არწივი“. „არწივი ვნახე დაჭრილი ყვავ-ყორნებს ეომებოდა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 7), ამბობს ვაჟა და ეს არწივი საქართველოა ჩვენთვის. დაუდასტურებელია ის, რომ პოეტმა ეს ლექსი ნამდვილად საქართველოს მიუძღვნა, თუმცა იმდენად ახლოსაა ამ პოეტური შედევრის შინაარსი სამშობლოსთან, რომ „თითქოს მთელი ერი გამოვიდა ამ ლექსის თანაავტორად და თავისი თავი დაინახა დაჭრილი არწივის უმშვენიერეს სახეში და უნებლიეთ დაკანონდა პოეტური ხატის ამგვარი გააზრება, მით უფრო, რომ ყვავ-ყორნები ჩვენს ესთეტიკურ შემეცნებაში უკვე სამუდამოდ დაკავშირებოდა მტრის სახეს, რადგან ვერ დავივიწყებდით უბერებელ სტროფს:

„კავკასიის მაღალ ქედზე

მიჯაჭვული ამირანი

არის მთელი საქართველო

და მტრები კი - ყვავ-ყორანი“.

ეს ყვავ-ყორანი მუდამ ერთია - საქართველოს უკვდავი მტერი. საბედნიეროდ, არწივი არ მომკვდარა, მხოლოდ დაჭრილია და წამოდგომისთვის იბრძვის.

ძალაც და იმედიც ამ ბრძოლამ უნდა აღმოაცენოს და კიდევ იმან, რომ არწივს მართვეები რჩება ხოლმე, ხოლო ყვავ-ყორნებს - ბალახი.

მშობელი ქვეყნის თავდადებისა და გმირობის ვაჟკაცობის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს შორის ასევე აღსანიშნავია ბალადები „გიგი“ და „ბაკური“. ვაჟა-ფშაველა ბალადებში მისთვის ჩვეული გმირული შემართებითა და თავდაუზოგავი ბრძოლის ენერგიით ასახავს მამულიშვილთა თავდადებას. ბალადა „გიგიში“ წარმიჩენილია ფშაველი პატრიოტის გმირული დაცემა იმ ბრძოლის ველზე, ქისტების წინააღმდეგ რომ გამართულა. ასევე დრამატიზმითა და ტრაგიკულიბით ხასიათდება „ბაკური“. ვაჟა-ფშაველა თვითმხილველი მთიელის საშუალებით გვიამბობს, ლეკებისაგან გარშემორტყმულმა ბაკურმა ტყვეობაში სამარცხვინო ცხოვრებას როგორ ამჯობინა გმირული სიკვდილი და თავის ცოლ-შვილს როგორ მოკვეთა თავები:

„მტერს მიეგება ციხის კარს,

მეც იმას მივყევ კვალზედა.

გაუხტა ხმალ-მოღერებით,

ფრანგულმა გაიცინაო.

თორმეტი მოჰკლა ციხის კარს,

ერთურთზე დააწვინაო.

ვეფხვსა დააცვდა კლანჭები:

ბაკურმაც დაიძინაო“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 25, 26).

ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პატრიოტული ლირიკა უძვირფასესი განძია ქართული პოეზიის სალაროში.

ვაჟა-ფშაველას ლირიკა 900-იან და 910-იან წლებში იმავე მოტივებით ხასიათდება, რომლითაც ხასიათდებოდა პოეტის 80-იანი და 90-იანი წლების ლირიკული ნაწარმოებები. იგივე დიდი სიყვარული ბუნებისა და ადამიანისადმი, ღრმა პატრიოტიზმი და „კარგი ყმის“ აპოლოგია, იმედნარევი სევდა - ესაა ძირითადი თემები ვაჟას ლირიკული ლექსებისა. აღსანიშნავია, რომ პოეტური ეპოსის ჟანრში ვაჟა-ფშაველა თავის საუკეთესო ნაწარმოებებს 80-იან და 90-იან წლებში ქმნის. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პოემა „გველის მჭამელი“ (1901 წ.). ვაჟას ლირიკა კი არ განიცდის ასეთ დაშვებას, მისი ბრწყინვალე ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის სიმღერა“ პოეტის სიკვდილის წელსაა დაწერილი.

900-იან წლებში შექმნილ ლექსებს შორის განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განვიხილოთ ის მხატვრული ნაწარმოებების, რომელნიც პოეტმა 1905 წლის რევოლუციის შთააგონებით დაწერა. ამ ისტორიულმა მოვლენამ ვაჟა-ფშაველას უდიდესი იმედი ჩაუსახა უკეთესი მომავლისა. ეს მართლაც საყურადღებო მოვლენა იყო მცირე ერებისათვის. სამშობლოს წყლულებით დაწყლულებულ პოეტს საქართველოს სუვერენიტეტის დაბრუნების შესაძლებლობამ აღაფრთოვანა, შეაგულიანა და სასოებით გააბრწყინა. ვაჟა-ფშაველამ ნათლად წარმოიდგინა დამოუკიდებელი და თავისუფლებამოპოვებული საქართველო, მტერი კი - დამარცხებული. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მგოსანი დიდი ხნის განმავლობაში თავის შემოქმედებაში უმღეროდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იდეას და მისი წარმოდგენით, რევოლუციის შემდეგ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დადგა დრო ოცნებების ასრულებისა. ამ სულისკვეთების ამსახველია ლექსი „ბერიკაული“, რომლის გმირი თავის გულისნადებს გვიზიარებს:

„საკმაო ხანი ვითმინე,

მოთმენა გამომელია,

ახლა ხმალს ვლესავ გორდასა,

გალესვა იმის ჯერია;

იქნება იმან მიშველოს

და მომაშოროს მტერია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 27).

ლექსში „მათრია წუთისოფელმა“ ვაჟა-ფშაველა მიმართავს მკითხველს:

„მზედ იქცა გულში მრთოლვარე

იმედი ოდნავ მბჟუტავი;

კვდება, სულსა ლევს ვეშაპი,

ქვეყნისთვის სისხლის მსუტავი“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 25).

მტერთან შეურიგებელი პოეტი განსაკუთრებულ პატივისცემას არ მალავს რევოლუციონერთა თავდადების გამო, მათ ღვაწლსა და თავდადებას აღფრთოვანებული აღწერს და ახალგაზრდებს ხევსური ბერდიას საშუალებით ლექსში „ხევსური ბერდია“ ახსენებს თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ნამდვილი ვაჟკაცი და მოუწოდებს, დაირაზმონ მტრის წინააღმდეგ საბრძლველად:

„ნუ იზამთ უგვანს საქმესა:

მტერს დაჰხვდით, გაისარჯენით!

წესია: მამულისადა

მოკვდით და დაიხარჯენით!“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 53).

ვაჟა-ფშაველასთვის წელიწადის დროებს შორის გამორჩეული იყო გაწაფხული. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდებდა ნათელი მომავლის დადგომის პერსპექტივას. სჯეროდა გაზაფხულს გამარჯვება მოყვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მალე საკუთარი თვალით დაინახა როგორ უკუღმა დატრიალდა ბედის ბორბალი. რევოლუციამ იმედები ვერ გაუმართლა, დამარცხდა და ოცნებებიც ოცნებებადვე დარჩა. რაღა დარჩენოდა მგოსანს, დიდი მწუხარებით გამოიგლოვა 1905 წლის რევოლუციის გმირები. ცნობილ ლექსში „ქებათა ქება“ ავტორი ასკვნის:

„გალახეს, ჯვარზე გააკრეს

აზრი და სამართალია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 61)

თუმცა პოეტი იმედს მაინც არ კარგავს, სჯერა უკვალოდ არ ჩაივლის გმირების თავდადება და მათ მიმართავს:

„როგორც გუშინა, ისე დღეს

ვენაცვალები გმირებსა,

სალამს ვუგზავნი შორითა

იმ კარგს მამულიშვილებსა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 62).

ასევე საყურადღებოა მეორე ლექსი „ქებათა-ქება“, სადაც პოეტი მწარე რეალობას აღწერს:

„საცა გავხედავ, ყოველგან

სჩანს რეაქციის კლანჭია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 108).

რევოლუციის დამარცხებას სათანადო შედეგები მოყვა. მიმალული ბნელი ძალები სააშკარაოზე გამოვიდნენ, თავისუფლად დაიწყეს მოქმედება და თავისუფლების მოყვარულთა დასჯა. ამ მოვლენათა გამომწვევ გარემოებებსა ბუნებრივია სათანადოდ აღიქვამს ავტორი და ლექსში „ბოქაული“ აღწერს კიდეც:

„ხალხის პირი დაქუცმაცდა,

დანაწილდა და გაიყო,

უკან-უკან დაიხია,

სასიკვდილოდ ვინც მზად იყო.

რეაქციამ გაიმარჯვა,

ბოქაულიც გამოცოცხლდა,

სათვალთმაქცო სამოსელი

გაიხადა, გამოცოცდა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 54).

სავარაუდოდ რეაქციის შავბნელი პერიოდით გამოწვეული გრძნობებით არის შთაგონებული ვაჟა-ფშაველას ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის ლირიკული ქმნილება „სიზმარი“. პოეტს ძილის დროსაც არ ასვენებს ეს პრობემები:

„ჭერიდამ წვიმა წითელი

კოკისპირულად დიოდა.

„ეგ შენთა მოძმეთ სისხლია!“

გარედან ვიღაც ჰკიოდა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 86).

ამ სიზმარში გველეშაპი ალერგიული სახეა რეაქციისა.

ლექსში „ქებათა-ქება“ ვაჟა სამშობლოს ბედზე გვესაუბრება, წარსულის მწარე დღეებს იხსენებს თუ რამდენი ცრემლი ღვარა და იმგლოვიარა. სამშობლოზე შეყვარებული მწერალი ღმერთს ევედრება კვლავ იხილოს მისი კუთხე „ლამაზი მხარე“ გაბრწყინებული. პოეტი თითქოს ესაუბრება და მოუწოდებს ქვეყანას, რომ წელში გაიმართოს. იგი მომავალი თაობის იმედით ამხნევებს საკუთარ სამშობლოს.

„დღეს თუ არაფრად ვარგივართ,

იქნებ გამოვდგეთ ხვალეო.

რადა ხარ წელში მოხრილი?

აიწი, აიხარეო!...

შვილები წამოგეზარდენ,

სამშობლოვ, გაიხარეო!“

(ვაჟა-ფშაველა, 1987: 9, 10)

ვაჟა მშობლიურ ქვეყანას სამოთხეს ადარებს. იგი საკუთარ ლექსში „ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად“ გვიხატავს საქართველოს სახეს თუ როგორი ტურფა სანახავია:

„მთა, ტყე, მდინარე, ყვავილი

მშობელი მიწის მდელოსი;

შიგ ჩაქსოვილა გმირთ სახე,

მამა-პაპათა ქველობა, -

სისხლი და ოფლი ერთურთში,

ხმლითა მამულის მცველობა

და ჩემის სატრფიალოსი

ჟამთ იქით ძველისძველობა.“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 17)

პოეტს გულს უკლავს სამშობლოს მწარე რეალობა, მის ცხოვრებაში ზამთრის გარდა, ვერაფერს აღიქვამს (იხ. ლექსი „რად ამბობთ, გაზაფხულდიო“, უიმედობა გამოსჭვივის ლექსებში: „ერთი და მეორე“, „გავხედავ მომავლის გზას“ „კვნესა“, „ნეტავი რისთვის ვიცოცხლე“ და სხვ.) მაგრამ ვაჟა-ფშაველას მწუხარეს განწყობა მარადიული არ არის, ის იმედს არ კარგავს და თავის გულისნადებს გვიზიარებს ლირიკულ ნაწარმოებში „დღესნამდე დაბლა ჰყვაოდა“. აქ კარგად ჩანს წარმავალობა უიმედობისა. მართალია პოეტი შერიგებია საქართველოს მწარე რეალობას, მაგრამ ესეც დროებითია. 1905 წლის რევოლუციის მარცხმა ავტორს სიფრთხილის გრძნობა განუმტკიცა და უფრო გააძლიერა. ამიერიდან იგი მომხრე არაა აჩქარებისა და ნაადრევი ან წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმისა. ლექსში „მთამ სრულიად სხვა სთქვა“, რომელიც ბაჩანას ცნობილი ლექსის - „მთამა სთქვა“ პასუხს წარმოადგენს, ვაჟა-ფშაველამ მთის სახელით იქადაგა დიდი ზომიერება და შორსმჭვრეტელობა ეროვნული ჩაგვრის, საერთოდ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. პოეტის შეფასებით მთამ:

„აღშფოთებულმა ფრიადა

ისევ თავს უთხრა: „დამშვიდდი,

გულო, რამ აგაზვიადა?!

მომთმენი, აუჩქარები,

აწონ-დამწონი საქმისა

კი არ გამხადო მსხვერპლადა

შენ შემთხვევითის წამისა.

სურვილი მალეობისა

მოსაწონია თავისა?

ერთი წელი და ათასი

ბარდაბარია ჟამისა.

მაშ, ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ

სიბნელედ ერთის ღამისა

.....

არ მომწონს ფაცი-ფიუცობა,

სულ-სწრაფთ, უმეცართ ხელობა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 163).

ლექსში კარგად ჩანს, ვაჟა-ფშაველას კარგად აქვს გათავისებული არსებული რეალობის სიმძაფრე, იცის სამშობლოს ცაზე ავბედითი ღრუბელი კიდევ დიდ ხანს დარჩება, მაგრამ არა სამუდამოდ. მთავარია, მომავლის რწმენა არ ტოვებს და პოეტის ლექსის დასასრულ ასკვნის:

„რომ მომავალი ჩვენია

ამას რად უნდა მისანი?“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 164).

ნათელი მომავლის იმედი კვებავდა ვაჟა-ფშაველას 900-იან და 910-იან წლების პოეტურ სამყაროს, ისევე როგოც შემოქმედებითი მოღვაწეობის ადრეულ ხანას. პოეტი სიცოცხლის ბოლომდე მშობელი ქვეყნის ერთგული იყო და ეთგულადვე ემსაუხრებოდა თავისი პოეტური კალმით. პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსით „მხედართა ძველი სიმღერა“ ვაჟა-ფშაველა სათაურიდანვე დააფიქრებს მკითხველს. სიტყვა „ძველი“

მწერალი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მძიმე ისტორია, თავის მუდმივი ბრძოლით გატანა „არ ახალია, ძველთა“, ასევე იმაზეც, რომ ასეთ მხედრულს ძველი, დიდი ქართველები მღეროდნენ, XIX საუკუნის „ქართველი მხედრები“ კი გადაგვარებულიყვნენ და „მეტიჩარა მეზობლის“ პარპაშს უდრტვინველად ეგუებოდნენ.

პოეტი ორმაგი შინაარსით ტვირთავს სტრიქონებს:

„გაზრდისღა კიდევ მშობელი

ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 22, 23).

ვაჟა გვიჩვენებს გულისტკივილს მისი თანამედროვე ქართველების ზნეობრივი დეგრადაციის გამო და ასევე იგი საკუთარ სიამაყესაც უერთებს მხედართა თავმოწონებას.

ძველი, ღირსეული ქართველები აღიარებენ, რომ სიცოცხლე მხოლოდ მამულისთვის ეძლევა ადამიანს. იგი მუდმივად უნდა იდგეს თავისი ქვეყნის სადარაჯოზე.

„ცოცხალის თავით ვერ მივცემთ

მტერს თავის მიწის ღალასა...

ცოცხლები არვის დავუთმობთ

მშობელი მიწის ღალასა...

არ მივცემთ უცხო ტომისას

თავის მამულის ღალასა“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 22, 23).

ორ-ორჯერ გვხვდება ფიცი, რომ მტერს არ გააქელვინებენ მამულს და სიცოცხლეს ჩალის ფასად არ ჩათვლიან ქვეყნის საჭიროებისათვის.

ეს ლექსი შეიცავს უკვდავ სტრიქონებს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,

ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,

თორემ ისეთ დღეს დავაყრით,

მკვდარსაც კი გაეცინება“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 22-23).

ვაჟა-ფშაველა არასდროს კარგავს საზღვრო პატივისცემას და მოწიწებას წინაპარი ჭეშმარიტი მამულიშვილებისა, რომელნიც მზად არიან პირველივე განგაშის ზარის შემოკვრაზე დადგნენ მის სადარაჯოზე სიცოცხლის ფასად. ლექსში „რაინდის ჩივილი“ დავრდომილი და ხანდაზმული ვაჟკაცი მომავალ თაობებს უამბობს, თუ როგორ თავდადებული იბრძოდა სამშობლოს დასაცავად და აქვე წუხილს გამოთქვამსა, რადგან სათანადოდ ვერ გაითავისეს მისი ღვაწლი:

„ეს სთქვა მხცოვანმა რაინდმა,

დაიდვა თავით ხმალია,

ხანჯარი, ფარი, ჩაჩქანი

და ისე სული დალია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 9).

როგორც შემოქმედებითი განვითარების ისტორია ცხადყოფს, მწერალნი ვიდრე მიაღწევენ მწერლურ სიმწიფემდე, თვითჩამოყალიბების, განვითარებისა და შემოქმედებითი სწრულოყოფის რთულ გზას გადიან. ბუნებრივია, ამ პროცესში იკვეთება სხვათა ზეგავლენაც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სათავეებთან პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებებში იგრძობა ქართული მხატვრული ლიტერატურის ძველი თუ ახალი ტრადიციები, პოეტი სწორედ მათზე აღიზარდა და მათითაა ნასაზრდოები. ამიტომაც ლექსში „დავით გურამიშვილის ხსოვნას“ ავტორი მიმართავს მართლის თქმის პრინციპის ფუძემდებელს, მარტოობასა და უცხოობაში დაღუპულ დავით გურამიშვილს:

„შენის ცრემლებით მოვხარშე

ჩემი გრძნობების ფაფაო“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 111).

გენიალურმა პოეტმა დიდი შემოქმედებითი საზრდო მიიღო მემკვიდრეობად უფროს თანამედროვე თერგდალეულთაგან, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან. სწორედ ეს პოეტები გახლდნენ მისი პატრიოტიზმის, აღმაფრენის, გაძლიერებისა და განვითარების ნიშა. ამიტომაც, შემთხვევით როდი აცხადებდა იგი ლექსში „ილიას საღამო“:

„მტკიცდება ქართველთ კავშირი

ძმობა-ერთობის ფიცითა“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 108).

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული დამოკიდებულება ზემოთაღნიშნული ფასეულობებისადმი მხოლოდ მთით არ შემოიფარგლება. როგორც ის ქართლს ლექსში „ქართლს“ აღნიშნავს:

„ქართლო, დარდების ამშლელო,

გულმაგარ ძეთა მხარეო“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 24).

გარდა ამისა პოეტის აზროვნებსა და შემოქმედებაშო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კახეთს:

„ალავერდი ჩანს, კახეთი,

ჩემი სამშობლოს შვენება“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 26) - წერს ლექსში „კახეთს“.

1913 წლის 20 თებერვალს ვაჟამ ქუთაისში, სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა ცნობილი „იმერეთს“ შესანიშნავი პატრიოტული ლექსი, რომელშიც პოეტმა შემდგომი სიტყვებით მიმართა დასავლეთ საქართველოს:

„შეერთებულად შენშია

ქართლსა და კახეთს ვხედავო“ (ვაჟა-ფშაველა, 1987: 25).

ვაჟა-ფშაველას არასდროს ავიწყდება სამშობლოს სიძლიერეს შეწირული გმირი მამულიშვილები, თან დასდევს ჯაჭვ-მუზარადით შემოსილთა სახება, მათი აჩრდილები

ისტორიას აცოცხლებს და თანამედროვეობის ნაწილს ხდის („ზმანება“, „ჩვენება“). ეს აჩრდილები მწერალს მამულიშვილური საქმისაკენ მოუწოდებენ:

„კარგი საქმენი წინაპართანი

გულს ააჩქარებს, სიცოცხლეს ჰმატებს,

ჩვენს სვინდისს იგი სდარაჯობს,

კეთილის ქმნისა სურვილსა ჰბადებს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 191).

ვაჟა-ფშაველასათვის უჩვეულოა სამშობლოს სიყვარულის განცდის განყენებულ განზომილებაში გადაყვანა. ყველგან და ყველაფერში მშობელი მიწის სითბოს და მისადმი თავდადების ვალდებულებას გრძნობს. არახალია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ბუნებისადმი. ბუნების აღქმის ვაჟასეულ ფენომენს მის შემოქმედებაში და განსაკუთრებით პატრიოტიზმთან მიმართებაშო, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მშობელი მიწისა და ბუნების სიყვარული ერთმანეთთან საოცრად შესისხლხორცებულია. საოცარი პოეტურობით აქვს აღწერილი სალი კლდის გმირი ჯიხვი, რომელიც ლოცვად შემდგარა, ეს ყოველივე აღწერილია ლექსში „ჯიხვის ვედრება“:

„მაჩვენე აყოვებული

სამშობლოს მთა და ბარია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 196) - ნატრობს იგი.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში განუმეორებელ პატრიოტულ საგალობელად გახმოვანდა ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. შეუძლებელია ეს შედევრი წაიკითხო და დღესაც სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულის გრძნობით არ აღივსო.

ვაჟა-ფშაველას ლირიკისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკა ასევე საინტერესოდ და სიღრმისეულადაა წარმოშენილი მის ეპიკურ ქმნილებებში. მაგრამ ახალი და განუმეორებელი რამ, რაც ამ თემებსა და მოტივებს შესძინა ვაჟა-ფშაველამ თავის პოემებში არის - იშვიათი დინამიზმი, მათი მოქმედებაში გაშლა და ხასიათებისა და ვნებების ასახვა გარემომცველ სინამდვილესთან უშუალო კავშირში. მაგალითად

„კარგი ყმა“ პოემებში დახასიათებულია არა პირდაპირ, ავტორის მონოლოგის ან მიმართვის ფორმებში, არამედ მისივე (ყმისავე) საქციელით, თავგანწირვისა თუ ვაჟკაცობის კონკრეტული გამოვლინებით.

ვაჟა-ფშაველას უკვდავ პოემებში ძირითადად ნაჩვენებია: კარგი ყმის ანუ გმირის დამახასითებელი აბრისი (სახე); საზოგადოებასთან (თემთან) კარგი ყმის ურთიერთობა; ამეტყველებული სურათი მთის ბუნებისა, ყველა მისი შემადგენელი ნაწილებით და გმირის პატრიოტული ბუნება.

„ბახტრიონი“. „წყვდიადის განჭვრეტისა“ და ადამიანის მაღალ სულიერ ღირებულებათა ხსნის შესახებ ფიქრმა პოეტი ჩვენი ხალხის დიდ ისტორიასთან მიიყვანა, მასში „შუბის წვრით და ხმლით აჩრჩნილი“ რაინდთა სახეები მოაძებნინა, აწმყო ხიდად გასდო წარსულსა და მომავალს შორის, როცა 1892 წელს ბრწყინვალე „ბახტრიონი“ შექმნა. ამ ნაწარმოების დაწერით ვაჟამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი დიდი ისტორიული, ხალხური და ლიტერატურული წარსულისა. ეს პოემა, როგორც ცნობილია, საგმირო-ისტორიულ პოემათა რიგს განეკუთნება (გრ. კიკნაძე). პოეტის ფანტაზიას ერთი მხრივ, კვებავს ქართული ფოლკლორი, ამ შემთხვევაში აღსანიშნვია ხალხური გადმოცემები ბახტრიონის გმირული ეპოპეადან. პოეტში ბახტრიონის ციხის ბრძოლა გმირულ სულს აღაფრთოვანებს, მის მიმართ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იჩენს და ხიბლავს ხალხის მეხსიერებაში გაბრწყინებული მამულიშვილთა თავდადება.

ვაჟას თვით ფაქტის, 1659 წლის ცნობილი ისტორიული ვითარების, ასახვაც აინტერესებს, ქართველების შეერთებული ძალით როგორ გაიწმინდა კახეთი „ურჯულო თათრებისაგან“. მაგრამ აქ ვაჟა ისტორიის ფაქტობრივ აღდგენას კი არ ახდენს, არამედ თვით ტვირთავს ამ მოვლენას თანამედროვეობისთვის უაღრესად აქტუალური პატრიოტული იდეით. ამის გამოა, რომ პოემაში ერთი სიტყვაც არაა თქმული ამ ბრძოლის მონაწილე ისტორიულად ცნობილ გმირებზე: იქნება ეს ბიძინა ჩოლოყაშვილი, თუ ზაალ, ელიზბარ და შალვა ერისთავები.

ვაჟა-ფშაველა სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულ გმირებს მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად არ წარმოიდგენს, მტრისაგან აოხრებული ვაჟას თანამედროვე საქართველო მათი შთამომავლების დაფრთიანების მოლოდინშია. მათ დასახმარებლად მოუწოდებს, ისინი ახალ დროში მეტად საჭირონი არიან დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამშობლოს მეციხოვნენი და მცველნი, ჭეშმარიტნი შვილნი უნდა იყვნენ გოლიათური ნებისყოფის. ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ საქართველოსათვის ზვარაკად შეწირვას, რათა მომავალმა თაობებმა თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრონ. მათ, გარდა ფიზიკური სიძლიერისა და სიმტკიცისა, უნდა ახასაითებდეთ ზნეობრივი სრულყოფილება. დიდი გრძნობიერება მათ არსებობაში შეხამებულია ბუნებრივ ჭკუასთან და წინდახედულობასთან. მაგრამ ეს თვითკონტროლი თავის ძალას ჰკარგავს მაშინ, როდესაც საზოგადო საქმე მსხვერპლს მოითხოვს. ვაჟას კაი ყმა მზადაა ნებისმიერ დროს თავი გაწიროს მამულისათვის.

ვაჟა-ფშაველა, როგორც უაღრესად თანამედროვე ტიპის ხელოვანი, დიდი მღელვარებით მოგვითხრობს როგორც ხალხური იდეალის განმასახიერებელ მოვლენათა შესახებ, ისე საკუთრივ ისტორიული ფაქტის სადღეისო შინაარსზე. ისეთ პერსონაჟებს, ისეთ ხასიათებს შექმნის, მათი ქმედებით ისეთნაირ იდეალებს უსახავს მკითხველს, რომელსაც ადამიანის სულიდან და მეხსიერებიდან ვერაფერი შლის და მხოლოდ წარუვალობა უწერია. ეს იმიტომ, რომ მათი ქცევის ყოველი ნიუანსი ეყრდნობა უმძაფრეს და უკეთილშობილეს პატრიოტულ ვნებებს.

ვაჟას „ბახტრიონის“ მიხედვით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართველი კაცის რაინდული სული, პირველ ყოვლისა, პატრიოტულ მიზანსწრაფვას ეყრდნობა და მთელი სიგრძე-სიგანით მასთან კავშირში შინაარსდება.

რაინდულის სხვა კომპონენტები - რწმენისა და სიყვარულისა, ღირსებისა და სათნოებისა და ა.შ. ქართველისათვის ხასიათის მაცოცხლებელ სწორედ ამ დიდ გრძნობას ერთვის და ამდიდრებს. გაუტეხელი სულის ღრმა ფენები წარმოაჩინა ვაჟამ, როცა პოემაში გარეგნულად „ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი“, მაგრამ სულიერად მოუდრეკელი, ტანჯვითა და ბოლოს გმირული სიკვდილით უკვდავებაში გადასული

კვირიას სახე დახატა. ჭეშმარიტი რაინდები არიან - ზეზვა და ლუხუმი, ამ ნიშნით განიცდება მათი ქცევა ერთმანეთთან შეხვედრიდან მოყოლებული მთელი პოემის მანძილზე. ზეზვასა და ლუხუმის სასიცოცხლო აზრი სწორედ რაინდულია და ამავე დროს ძალზედ მიწასთან დაახლოებული:

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,

ჩვენ შავიბრალოთ რისადა?

სიკვდილი თვითონ უფალსა

გაუჩენია მტრისადა!“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 148-149).

ასეთია მათი მოქმედების დევიზი რადგან მაღალი პატრიოტული გრძნობა და შეგნება უდევს საფუძვლად ამ პერსონაჟთა ქცევას.

იმდენად ღრმაა, ფაქიზი და დიადი ლუხუმის რაინდული სულიერი სამყარო, რომ ვაჟას ფანტაზიის წყალობით თვით ბოროტების სათნოებად გარდაქმნაც კი ხერხდება, როცა სასიკეთოდ ამოქმედდება ოდითგანვე ბოროტების სიმბოლოდ ჩათვლილი, დაჭრილი ლუხუმისაკენ „გლარზვნით მიმავალი გველი“. სიბრალული სიკეთის ენერგიად იქცევა და რაინდობის ერთ თვისებად წარმოდგება „ბახტრიონში“.

საბრალოა ერთ დროს განთქმული გმირი - ლელას მამა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს:

„ლოგინშია წევს... საბრალოს

მრავალივა სჭირს წყლულია“.

იმის გამო „სული ვეღარ ერევა სხეულსა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 133).

პატრიოტულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული რაინდული შემართება გადამდები თვისებაა და ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების სპეციფიკური მხარეც. მამაკაცთა სიმცირის პირობებში ქართველ ქალში გადადის რაინდისათვის ნიშანდობლივი მეომრული სული. აქ ერწყმის ურთიერთს ქალური სიფაქიზით გაცისკროვნებული

სანათას და ლელას მოუდრეკელობა, ასევე თვით ღმერთისადმი ვედრების პატიოტული გამიზნულობაც:

„ეგებ ინებოს ბატონმა,

გაგმარჯვებიყოთ მტერზედა,

თუ ამას გავიგონებდი,

არ ვიტირებდი მკვდრებზედა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 119).

„გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი

გასულებს ბრძოლის ველზედა!“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 131).

ვაჟა-ფშაველამ პოემაში „ბახტრიონი“ პირველად წარმოაჩინა მაღალი საზოგადოებრივი, მამულიშვილური იდეალებით გამორჩეული და სამშობლოს სიძლიერისათვის თავგანწირული ქალები. ისინი სცილდებიანი ტრადიციულია ჭეშმარიტი ქართველი, ვაჟკაცის გამზრდელი ქალის სახეს. მათი ინტერესების სფერო უფრო ვრცელი და დიდია, ვიდრე თემის მტრის მოჭრილი მკლავით გახარებული მთიელი ქალისა.

ილოცებიან „ბახტრიონის“ პერსონაჟი ქალები და ლაშარის ჯვარსაც ეროვნულ მფარველად სახავენ, რადგან რწმენა და ეროვნება განუყოფელია ქართველთათვის. მაგრამ ისინი ლოცვის ამარა არ რჩებიან, საჭირო შემთხვევაში თავგანწირვით, სიკვდილით ადასტურებენ სუსტ სხეულში რაინდული სულის არსებობას. რაინდები სწყრებიან, თაკილობენ „ვარდის წყლით ნაბანი“ ქალის, ლელას, ბრძოლაში ჩაბმას, მაგრამ პატრიოტული გრძნობით აღტკინებული, ვაჟურად ჩაცმული ლელა გმირული სიკვდილით კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რაინდობა სულის საუფლოა და არა მხოლოდ სხეულისა.

„ბახტრიონი“ ბუნების აღწერით იწყება, ტრადიციისამებრს, ვაჟას ბუნების ფენომენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და შემდეგ უწყებს მოქმედების განვითარებას დრამატულად. ფშაველთა ტრადიციული ცხოვრებისაგან რადიკალურად

განსხვავებულ სურათს გვიხატავს სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად. შემოჰყავს მგლოვიარე მოხუცი ქალი სანათა, რომელიც არღვევს საუკუნეების განმავლობაში დაურღვეველ წესს და ფშაველთა სალოცავში მარტო მიდის, მამაკაცის ნაცვლად დღეობაზე სანთლებს დაანთებს და საკლავსაც დაკლავს. სწორედ ამ წესების დარღვევის დროს, მოულოდნელად უცხო მამაკაცი გამოჩნდება, ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილი. იგი დამწუხრებული ისმენს ხანდაზმული ქალის სატკივარს და თავადაც მძიმედ განიცდის მის ტრაგედიას. აცრემლებული თავს ვერ იკავებს, ნანგრევებს მიმართავს და პასუხს სთხოვს - მუდამ რატომ უნდა იყვენენ განსაცდელში და რატომ უნდა ირწყვებოდეს ცრემლით მათი სამშობლო. ბოლო არ უჩანს ტანჯვა-წამებას. საუკუნე საუკუნეს ემატებას და ქვეყნის სასიკეთოდ არაფერი იცვლება, პირიქით, იზრდება სამშობლოს მცველ იმ რაინდთა რაოდენობა, დაუფიქრებლად რომ თავის შესწირეს მშობელ მიწას. ბოლო ბრძოლაც ძალიან მძიმე და ტრაგიკული იყო. ფშავის მცველებიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა, ყვეანი ბრძოლის ველზე დაიღუპა. უცხო კაცი გრძობს და ხვდება აქ დატრიალებული ტრაგედიის სიმძიმესა და მასშტაბებს. მართალია უკვირს მოხუცი ქალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გაოცებულია დედაკაცმა როგორ შეასრულა მამაკაცის წილი ვალდებულება სამლოცველოში და აქვე გამომწვევ მიზეზებს არკვევს. ფიქრობს, ამის გამომწვევი მიზეზი ფშაველთა სხვაგან გადასახლება უნდა იყოსო. რეალობა კი მართლაც მძიმე აღმჩნდა. როგორც სანათა აღნიშნავს, თათრთა ლაშქარმა წარღვნა მოუწყო ხორაშელთა გვარს, მუსრი გაავლო და მამაკაცთაგან ცოცხალი არავინ დატოვა. ქალებს რა გზა დარჩენოდათ, გარდა გმირულად დაღუპულთა ღირსეულად დატირებისა და გლოვისა. მრავალჭირნახადი ქალი ტკივილით იხსენებს, თუ როგორ გამოასალმეს სიცოცხლეს მისი ქმარი და შვილი ვაჟი ერთ დღეს. სწორედ, ამის გამო შეასრულა სახათეში მამაკაცის ფუნქცია ქალმა.

ლაღი ცხოვრება არც უცხო მგზავრს არ აქვს. ისიც ფშაველი აღმოჩნდება, გვარად მათურელი. ღარიბ-ღატაკი და ობოლი კვირია არ შეპუებია ბედს და უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად სხვაგან წასულა. მაგრამ ობლის კვერი არც ამჯერად გამომცხვარა კარგად. მის სიდუხჭირეს ურჯულო თათრების ბატონობა დამატებია. კახეთს გაბატონებულები

მუსრს ავლებენ ყველაფერს. თავისუფლად დათარეშობენ ყველგან, არავის და არაფერს არ ერიდებიან. ეკლესია-მონასტრებს მოლები ბილწავენ. ქალებსაც კი არ ინდობენ და საშინლად ექცევიან. ურყვნიან სინდისს და ფეხით თელავენ. არავის ინდობენ, უკიდურესად ღარიბებსაც გადასახადებს უწესებენ. ამ ყველაფერის ატანას აღარ აპირებენ თუშები და საბრძოლველად ემზადებიან. შეთქმულებს წინამძღოლობას გმირი ზეზვა უწევს. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად თუშები მოუწოდებენ ფშავ-ხევსურეთსაც და სწორედ ამ დახმარების სათხოვნელად კვირია ჰყავთ გამოგზავნილი.

„უბაროდ, განა არ იცით,

მთანიც რომ ვერა გვარობენ?“ (ვაჟა-ფშაველა, 1974:118)

შეთქმულები დარწმუნებული არიან, რომ ფშავ-ხევსურები ბრძოლაზე უარს არ იტყვიან, პირიქით, ხოშარელები განაწყენდებოდნენ, როცა გაიგებდნენ მტერზე გალაშქრების ამბავს და თავად კი არაფერი ეცოდინებოდათ. ფშავ-ხევსურები, ხომ ყოველთვის გამოირჩეოდნენ სიმამაცითა და თავდადებით.

ჭეშმარიტი მამულიშვილია ობოლი კვირია. მას ვერ წარმოუდგენია ასეთი განსაცდელის ჟამს მშვიდად ცხოვრება. შერცხვენილ სიცოცხლეს უმალვე ბრძოლის ველზე დაცემა ურჩევნია; ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა შეახოს ხელი ბილწმა თათარმა თავის ცოლ-შვილსა და საცხოვრისს. შემთხვევით მტრის მახვილს რომ გადაურჩეს, თავს მაინც არ იცოცხლებს და საკუთარი ხელით აღესრულება.

კვირიას სამშლობლოსათვის თავდადება ნეტარებად მიაჩნია და ამიტომაც ფშაველი გმირების დატირებას ვერ ითავისებს. „ლაფით მოსვრილი სახეები რომ თან არ წაიღეს“ - მიმართავს კვირია სანათას.

არც სანათა დარჩება ვაჟკაცებს ვალში. ოღონდაც შური იძიოს ჯავრი ამოიყაროს დაღუპული ქმარ-შვილისა და მზად არის უარი თქვას მათ გლოვაზე. თავად შეკრებს ფშაველებს ურჯულო თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად. დარწმუნებულია ისინი უარს არ ეტყვიან დახმარებაზე. გმირმა ქალმა სამშობლოს რვა ვაჟკაცი შესწირა და ისინი თითოს მაინც გაიმეტებენ. მისთვის უდიდესი სიწმინდეა მშობელი მიწა და უფალს,

ლაშარის ჯვარს ევედრება, თათრების დამარცხებას და სამართლიანობის აღდგენას. ქართველთა ჯარის გამარჯვებას და თათართა ამოწყვეტას.

კვირია რწმუნდება სანათას გულწრფელობაში და სჯერა, მებრძოლთა შორის ღირსეულად იქნებიან წარმოდგენილნი ფშაველნი. თავს ვერ აძლევს დასვენების უფლებას და გზას განაგრძობს ხევსურეთა დასარაზმავად, უნდა პირნათლად შეასრულოს ზეზვას დავალება.

ავტორი დიდი აღტაცებით აღწერს ფშავ-ხევსურთა ჯარის შეკრებას და საომრად მომზადებას:

„რა საამური დრო არი,

რა საამური წამია!“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 123).

მართლაც, ავტორი უდიდესი აღფრთოვანებით აღწერს ქართველ მეომართა შეკრებას. მათ გვერდს უმშვენებს ფშაველთა წინამძღოლი ბერი ლუხუმი. მოახლოებულია ჟამი ბრძოლის დაწყებისა. მანამდე ლაშარის ჯვრის მადლს უნდა ეზიარონ, ელოდებიან მის თანხმობას, რომელიც ქადაგმა უნდა ამცნოს. ღვთის ნებისა და წყალობის გარეშე ლაშქარი ნაბიჯს არ დგამს. მართლად, ქადაგი აუწყებს, თუ როგორ იხილა ლურჯი ბეგთარით შემოსილი დიდი ბატონი, რომელსაც ჩაჩქანი ამშვენებდა და „ფრანგული ამეეწურა“.

ლაშარის ჯვრის ნების შემდეგ, ქადაგი ლოცვას ატანს ლაშქარს, მტრის დამარცებას უწინასწარმეტყველებს და თავადაც ლურჯ ცხენზე ამხედრებული ჯარს წინ მიუძღვის. მამულიშვილებიც ადიდებენ წმინდა ლაშარის ჯვარს და სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს. უფალმა უწყის, რამდენი მამაცი ქართველი გამხდარა ყვავ-ყორანთა საჯიჯგნი, სამარე რომ არ რგებიათ და ცოლ-შვილის ცრემლი არ დასცემია მათ ცხედარს.

ლაშქარს ამაღლებული განწყობა აერთიანებს. მათ შორის გამორჩეულია კვირია, რომელიც არც ჭამს და არს საუბრობს, მდუმარედ რაღაცაზე ჩაფიქრებულა. ვერავინ ვერაფერს უგებს. მხოლოდ ბერი ლუხუმი ხვდება მის გულის ნადებს. იგრძნო, რომ ცუდი სიზმარი იყო მისი უგუნებობის მიზეზი. წინამძღოლის დაჟინებული თხოვნის

შედეგად კვირია ჩვენების არსს უამბობს. აღმოჩნდა, რომ კვირიას ხმლით მოუკლავს შავი ვეშაპი, ამ უკანასკნელს კი მისთვის ბოროტი სისხლი მიუნთხევია. ბერი ლუხუმი შეცბა, არ მოეწონა სიზმარი, ცუდის ნიშნად ჩათვალა. პოემის ეს მონაკვეთი მკითხველს ტკივილიანი ფინალისათვის ამზადებს, გმირი ბრძოლის დაწყებამდე გრძნობს ურჯულო თათართა დამარცებასა და თავის აღსასრულს.

კვირიას სიზმარს არც მეომრები დაუტოვებია გულგრილად. მხედრები ღრმად ჩააფიქრა კვირიას სიზმარმა. მალე მათი ყურადღება ახალგზარდა ფშაველმა ქალმა მიიქცია. ბანაკს მიადგა წვერბასრი შუბით შეიარაღებული, ცხენზე ამხედრებული, ბაჩლელი შანშეს ასული ლელა. ფშაველი ქალი მეომრებთან მტრებთან გამართული ბრძოლის დროს დახოცილი ძმების სისხლის აღების სურვილმა მიიყვანა. ასევე კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი ბახტრიონის ციხეში დატყვევებული დედის გათავისუფლება. ბრძოლის ველზე დაჭრილ მამას, რომელიც დღითიდღე უძლურდება, არ შეუძლია თავისი ვალი შეასრულოს, ამიტომაც ღებულობს ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას - უნდა შეერკინოს თათრებს.

ერთერთი მეომარი სულმეჯი თხოვს ლელას მამასთან დარჩეს და ყურადღება არ მიაკლოს სნეულს, ასეთივე რჩევა-დარიგებას აძლევს ბერი ლუხუმი. რა თქმა უნდა ფშაველი ახალგაზრდა ქალი მათ წინააღმდეგობას უწევს და უარს ამბობს გადაწყევტილებას. მას სიმტკიცეს კიდევ უფრო მეტად მატებს ავი სიზმრები, ასე ხშირად რომ აწუხებს. მიუხედავად დიდი სურვილისა, მეომრები ლელას მაინც არ სურულებს სურვილს და უარს ეუბნებიან ბრძოლის ველზე წასვლაზე. გულდაწყვეტილი ლელა ტოვებს ბანაკს და უკან ბრუნდება.

სახლისკენ მიმავალ დაღონებულ ლელას უცებ მამაკაცის ხმა შემოესმა. უმალვე ცხენიდან ჩამოქვეითდა და კაცს დაელოდა. კვირია მიუახლოვდა ფშაველ ახალგაზრდა ქალს და მისთვის მოულოდნელი წინადადება შესთავაზა. ძმობა შეჰფიცა და ერთობლივი სამოქმედო გეგმა გააცნო. შესთავაზა, ერთად ემოქმედათ მტრის წინააღმდეგ და თავისი წვლილი შეეტანათ მის დამარცხებაში. კვირია ლელას უთანხმდება პირველები შეიჭრან ბახტრიონის ციხეში მოტყუებით - თითქოს

ყეინისათვის საჩუქრად ახალგაზრდა ულამაზესი ქალი მიჰყავს. მამაცი მხედრის შეფასებით, ყარაული მათ წინადადებას ადვილად დათანხმდება და უპრობლემოდაც შეუშვებენ. როგორც კი მიუახლოვდება ქართვალთა ლაშქარი სამიზნე სიმაგრეს, კარს გაუღებენ და გამარჯვებაც ადვილი მისაღწევი იქნება. მზად არიან ახალგზარდები, სიცოცხის ფასად შეუფასებელი დახმარება გაუწიონ თანამემამულეებს და თუნდაც ციხის კარებზე დააკლან. გმირული აღსასრულისათვის მზაობას გამოხატავს ლელაც, „ორისავ სიკვდილ სწადიან“.

საოცარი სანახავი და გრანდიოზულია მთიელ მეომართა ჯარის ლაშარის გორიდან დაძვრა. მზად არიან მონობაში ცხოვრებას თავისუფლების ბრძოლაში დაიღუპონ. ალაზანს მიუახლოებულები მაღლიდან უმზერენ სამშობლოს სილამაზეს. ბუნება ჯერ კიდევ არ გამოგხიზლებულა, მთებიც ბურანშია, გათენების შემდეგ მიმოფანტავენ ნისლებს, რადგან:

„ნისლი ფიქრია მთებისა,

იმათ კაცობის გვირგვინი’.

.....

„არწივნი დაფარფაშობენ,

უფსკრულს ავლებენ თვალებსა,

მაღლიდან ჩამოჰხარიან

თავისგან დახრულ ძვალებსა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 142).

მეომრები აღფრთოვანებული შესცქერიან კახეთის დიდებულ ბუნებას, ოღონდ მათ განწყობას ცვლის კვირიას გაუჩინარება. გაოცებული არიან მისი გადაკარგვით, ზოგს ეჭვიც კი აწუხებს, მოღალატე მტრის ბანაკში ხომ არ დაბანაკებულაო. მხოლოდ ბერ ლუხუმს არ ეპარება ეჭვი მის ვაჟკაცობაში, სჯერა, რომ მის გაპარვას საფუძვლად სხვა მიზეზი უნდა უძღოდეს წინ. დრო აღარ იცდის და მხედრები სპეროზის კლდიდან ნელა ეშვებიან ბარისაკენ.

„მიდიან ფეხშეუშლელად,

კალთა ჩაკეცეს მთებისა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 145).

ნაქერალაში სხვადასხვა კუთხიდან დაძრული მეომრები იკრიბებიან. მათ გასამხნევებლად და განწყობის კიდევ უფრო ასამაღლებლად ბერი ლუხუმი თითქოსდა ზეზვას იწვევს საომრად, მისის სისხლის დაღვრის წყურვილს აუტანია. თუშებს განწყობა უცებ გაუფუჭდებათ და გაოცებული შეჰყურებენ ლუხუმს, ხომ არ გაგიჟდაო. მალევე შეიცნო მასში ზეზვამ ძმობილი „მეტოქე“, ერთმანეთს ხუმრობით შეერკინენ და მერე ეამბრონს. ორივეს ეტყობოდა ლაშქრობებში გალეულ წელთა სიმრავლე.

პოემა „ბახტრიონში“ აღწერილია მეომრების ბრძოლის ველოდან დაბრუნების სურათი. ფშაველი მხედრები მკითხველს აცნობენ ციხის აღების გმირულ ისტორიას, რომელსაც ამძაფრებს საკაცეებზე დასვენებული კვირიასა და ლელას ცხედრები.

ბრძოლა ისე წარმართულა, როგორც კვირიას უწინასწარმეტყველებია. ქართველი მხედრებისათვის მათ გაუღიათ ციხე სიცოცხლის ფასად. ბახტრიონში შეჭრილ ლაშქარს გმირები დახოცილები უპოვიათ. გმირთა თავგანწირვა ამით არ სრულდება. ბრძოლაში ასევე გმირულად უბრძოლიათ ბერ ლუხუმს, ხორაშეულს, გივი სუმელჯის, თუშ ზეზვას. უღირსად მხოლოდ წიწოლა მოქცეულა, შეშინებულს ბრძოლის ველი მიუტოვებია და გაქცევია. შერცხვენილს თემისგან უარყოფილს აღარ უსურვებია სიცოცხლე და თავი მოუკლავს. მოხუცი დედა მარტოდმარტო დასწტირის შვილის, თანაგრძნობას არავინ უცხადებს.

დაჭრილთა შორის ვერ იპოვეს ბერი ლუხუმი. მის კვალს ვერსად მიაგნეს. ვაჟა-ფშაველა ნაწარმოების დასასრულს აღწერს ბერი ლუხუმის თავდაგადასვალს. მთაში, უდაბურ ტყეში დაჭრილი წევს გმირი. ახლოს, კლდეში სახლობს ჯაგრიანი, უზარმაზარი გველი, რომელსაც გმირის საცოდაობით გული უკვდება და ცდილობს მის დახმარებას. წყლულს ულოკავს და ერთი თვის განმავლობაში შვილივით უვლის. ბერი ლუხუმის კეთილშობილებამ, გმირულმა ბუნებამ და რაინდობამ გველი აიძულა, გველური ბუნებისათვის ზურგი შეექცია და დახმარებოდა. გმირს არც საკვებს აკლებს და არც მთის წყარო ანკარას. საღამოობით არც ზღაპრის თხრობაზე ამბობს უარს. ასე,

თავისი ბუნებრივი ნების საწინააღმდეგოდ იქცევა გველი და ამით პოეტი აღწერ, როგორ ხრის ბუნება თავს ჭეშმარიტი მამულიშვილის წინაშე.

ვაჟა-ფშაველა პოემა „ბახტრიონს“ დიდიებული ფრაზით ასრულებს:

„ამბობენ: შააძლებინა

სნეულსო ფეხზე დადგომა,

ეღირსებაო ლუხუმსა

ლაშარის გორზე შადგომა“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 157).

ვაჟა უმაღლესი რიგის გრძნობად აცხადებს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას. დიდია ამ ფენომენის არა მხოლოდ წარმომავლობის, არამედ მისი გავრცელების არეალი. იგი იტევს ყოველნაირ სიყვარულს. სამშობლოს სიყვარულის გრძნობა იერთებს მოყვასის სიყვარულს, სატრფოს სიყვარულს და სიბრალულის გრძნობასაც თავის რკალში აქცევს. ვაჟას თქმით, „ციური გრძნობაა“ სამშობლოსადმი სიყვარული და კიდევ უფრო უსაზღვროა მისი მნიშვნელობა, როცა იგი სხვა გრძნობათა შემაპირობებელ მოტივად იქცევა და სათავეს უდევს ზნეობრივად ღირებულ დიდებულ გრძნობებს: გრძნობას გმირობისას, სიყვარულისა და სიბრალულისას. ამ გრძნობათა ერთიანობაში ხედავს ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონის“ პერსონაჟთა რაინდული ქმედების ერთიანობას, როცა ვკითხულობთ:

„ნეტავი ცეცხლი ციური,

ვისაც კი გულში ჰნთებია,

ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,

ისივაც ამოჰგზნებია!

მკვდარია უგრძნობი კაცი,

უსაზარლესი მკვდარზედა,

მით რომე სიცოცხლე უდგას

სალის ყინულის ტახტზედა.

არ ებრალება მოყვასი,

მის წინ რომ აცვან ჯვარზედა.

.....

შორს არის, მეტად შორს არის,

დაშორებული მაზედა.

ჭაობში არის ჩაფლული,

ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა.

საზარელია დადგომა

უგრძნობელობის გზაზედა!“ (ვაჟა-ფშაველა, 1974: 141).

როგორც ვხედავთ, ადამიანის სიცოცხლის შინაარსად, მის ტოლფასოვან მოვლენად აღიარა ვაჟამ „ბახტრიონში ერთ დროს უმშვენიერესი, აწ უკვე „დაბერებული პირიმზის“ უბრწყინვალესი სიმბოლური ხატი და უფრო მეტად კიდევ „ოცნება ტანჯულის ქვეყნისა“, რომელიც „ქვითინებს მთისა წვერზედა“.

„ტანჯული ქვეყნის ოცნება“ კი ქვითინებს, მაგრამ ქვეყანას ლუხუმისთანა რაინდული სულის ადამიანები ეყოლება, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას რომ რელიგიად აქცევს და საჭირო შემთხვევაში მისთვის თავგანწირვას - იდეალად. მაშინ შეიძლება ენდო დიდ პოეტს, რომელმაც ფუყე კი არა, მწარე სინამდვილიდან ამოზრდილი ოპტიმიზმი შეაგება მკითხველის სულსა და გონებას, როცა დამაფიქრებლად თქვა:

„ეღირსებაო ლუხუმსა

ლაშარის გორზე შადგომა“.

ლუხუმი და მისი მსგავსი ადამიანები არამარტო გადაარჩენენ, არამედ მოუტანებენ საქართველოს თავისუფლებას. ესაა სწორედ ეროვნული უძლეველობის

ერთი პირობა და ვაჟას, როგორც ქართველი პოეტის, რაინდული იდეალიც. თუმცა თავისუფლებისაკენ მისწრაფება ყველა ადამიანის რაინდულ ღირსებად შეიძლება იქცეს, თუკი მასში საამისო ძალა და ენერგია აღმოჩნდება. ასე რომ, ერთი მხრივ, კონკრეტული, მაგრამ ამავე დროს ერთობ ზოგადი შინაარსის შემცველია, ე.ი. აზრობრივ-ემოციური ღირებულების თვალსაზრისით მრავლის დამტევია „ბახტრიონი“. ამის გამო თავისი შემოქმედებითი-ესთეტიკური ზეგავლენის მასშტაბით ჩვენეული და უაღრესად თანამედროვეა ვაჟას რაინდული სულისკვეთების გამომხატველი ეს მართლაც ბრწყინვალე პოემა.

საინტერესოა პოემის შექმნის პოეტისეული ისტორია. „ბახტრიონის“ შექმნის წინაპირობზე საუბრისას ავტორი აღნიშნავდა: „ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროის მებრძოლთა სახელებიც კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია). ზეპირი გადმოცემა ჰღაღადებს, რომ ფშაველებისათვის ამ ღვაწლისათვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვა“. ავტორი ასევე ასახელებს ბახტრიონის ციხის აღებისადმი მიძღვნილ ოთხ პატარა ლექსს, რომლებშიც წარმოჩენილი არ არის მნიშვნელოვანი, ისტორიული სინამდვილის შემცველი ფაქტები და ეპოქის აღქმისათვის საჭირო ნიუანსებს არ გვთავაზობენ. შემდეგ ვაჟა განაგრძობს: „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ, თუმც მაშინვე ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვიცოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“... წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეჰხვდება ლალისყურისაკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარი. ამან მუჯლუგუნი წაჰკრა ჩემს ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა კალამი“.

ვაჟა-ფშაველას სათქმელის ნათელსაყოფად, ვრცელი ის მონაკვეთი აქვს დამოწმებული „კალმასობიდან“, სადაც აღწერილია ფშაველების ვაჟკაცობა და თავდადება. „აი ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ წერის დროს, ხოლო გმირები პოემისა - ლუხუმი, ხორაშაული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს

მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, თუმცა - კი გმირებად იხსენებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს, - ასეთები არიან ლუხუმი, ხორაშეული. ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელ დროს, როცა ფშაველები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა. თოფი მაშინ ხმარებაში არ ყოფილა, არამედ შვილდ-ისარი და ბოძალდი“...

პოეტი ასევე იმოწმებს ქართულ ხალხურ ლექსს სანთასა და სუმელჯიზე, რომლებიც სხვა ბრძოლებიდან არიან ცნობილნი: „ეს ორივე გმირი - სუმელჯი და სანათა - მე შევურიე „ბახტრიონის“ გმირებში, სანათა, როგორც, ენით, სიტყვით გამხნევებული დიაცი და სუმელჯი კი, როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი ვაჟკაცი“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, IX, 1964: 322-323).

„ბახტრიონის“ გმირები კვირია და ლელა არცერთ ხალხურ გადმოცემასა თუ პოეტურ ქმნილებაში არ ფიქსირდება, ისინი პოეტის შემოქმედებითმა ფანტაზიამ შექმნა.

ზემოთ აღნიშნული მონაკვეთი ცხადყოფს ვაჟა-ფშაველას მხატვრული მეთოდის სპეციფიკასა და მის დამოკიდებულებას ისტორიულ მასალაზე მუშაობისას. პოეტის უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს ეროვნული გმირების ვაჟკაცური თავდადებისა და სრულიად საქართველოს მამულიშვილთა ბრძოლა მომხვდურის წინააღმდეგ, იგი კონკრეტული ფაქტებითა და ცნობილი გმირებით არ ინტერესდება. ასევე აღსანიშნავია გენიალური მწერლის ეპოსის გმირების ერთი კანონზომიერება. ისინი არ ახდენენ მკითხველზე ისტორიულად ცნობილი მამულიშვილებისათვის დამახასიათებელი თვისებების შესატყვის შთაბეჭდილებას. ისინი კონკრეტული დროის კუთვნილებანი არ არიან. თუ ნაწარმოები შესაძლებლობას იძლევა მოქმედების არეალის განსაზღვისას (ფშავი, ხევსურეთი, ქისტეთი, საერთოდ მთა), შეუძლებელი ხდება დროის კონტურების განსაზღვრა. ასევე პირობითი ისტორიულობით გამოირჩევა „ბახტრიონიც“. ვაჟა-შაველას გმირების სოციალური მდგომარეობაც არა არის ნათლად გამოკვეთილი. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ისინი მთის თავისუფალი გლეხის სტატუსს

ატარებენ. მკითხველი ვერ ეცნობა მათ ყოველდღიურ საქმიანობას, ცხოვრების წესაა და მის ავკარგიანობას.

პოემაში ნათლად არის წარმოჩენილი მთიელი ვაჟკაცებისა და ზოგადად სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ზოგადქართული პატრიოტიზმი. როდესაც სამშობლო განსაცდელშია, ივიწყებენ საუკუნოვან მტრობას და ერთიანდებიან მის დასაცავად. უდიდესი მამულიშვილური მოვალეობის გრძობითა და პასუხისმგებლობით არიან გულანთებული პოემის პერსონაჟები - ლელა, სანათა, კვირია, ზეზვა, ლუხუმი, სანათა. ასევე საოცარი პატრიოტული სულიკვეთებისაა ხალხური ნაწარმოების ფინალიჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: ვაჟავ, თუ ღმერთი გწამს, ნუ დამიმალავ, სწორადა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“ „იქნებ ვგულისხმობდე“, ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლაბაზეა ნათვამიო“, - დაიჟინა ფშაველმა და თხუთმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას აზრს ვერ გამოუცვლიდნენ“ (ს. ყუბანეიშვილი, 1937: 288.).

პოემაში „გიგლია“ ვაჟას აღწერილი აქვს თუ როგორია მისი წარმოდგენით ფშაველი კაი ყმა მომხდურთან ბრძოლაში. ნაწარმოებში აღწერილია როგორ თავდადებული ებრძვის ფშაველი ვაჟკაცი ლეკებს. პოემა გიგლიას სიუჟეტი ასე ვითარდება: ერთერთი სოფლიდან, კერძოდ, ახადიდან ლეკებმა მოიტაცეს ქალიშვილია, რომლის დასახსნელად გიგლია წავა. ის ყურად არ იღებს მეუღლის თხოვნას, მდევრად არ წავიდეს და ცუდი სიზმარი რეალობად არ აქციოს. საპირისპირო პოზიციას აფიქსირებს გიგლიას დედა, რომელსაც ესირცხვილება შვილის ლაჩრული საქციელი.

„წადი დაღისტნელთ აჩვენე

როგორ ყმებსა ზრდის ჩარგალი,

სვავებს დაუგდე სადილად

იმ ძაღლთი ძაღლი სარდალი“

მხატვრული ნაწარმოები უდიდესი სიმძაფრით გამოირჩევა, ცეცხლი ნაკადად მოედინება თითქოს, რომლის განმსაზღვრელი ძალაა გიგლია, მისი სიმამაცე და თავდადება. მხედრის სულისკვეთებისაა ცხენიც.

საოცარი პოეტურობითა და მხატვრული პასაჟებითაა აღწერილი გმირის გარდაცვალება. ყორანი უახლოვდება ბრძოლის ველს გახარებული, ფშაველთა შემწეობით, საჯიჯგნი ცხედარი საძებნი არ აქვს, მით უმეტეს ვაჟკაცისა.

„ხალხში ამბობენ, მთაშია

დარბის დახვივის ცხენიო:

„ვაჰ მე, სადა მყავ გიგლია,

კარგი პატრონი ჩემიო!“

ასე, რომ პოემაში „გიგლია“ ვაჟა-ფშაველა ჩვეული სიღრმითა და პოეტურობით კაი ყმის მონოლითურ პერსონაჟს გვიხატავს, რომლის სახით კიდევ ერთხელ ქედს იხრის თემისა და მშობელი მიწის ჭეშმარიტი, უშიშარი და თავდადებული მამულიშვილის წინაშე.

რაინდული იდეალებით და გმირული ღირსებითაა გამორჩეული ვაჟას კიდევ ერთი პოემა „ივანე კოტორიშვილის ამბავი“, პოემის მთავარი გმირი, რომელიც ქართულ მთასავით ქართველი კაცის გაუტეხელ ბუნებას განასახიერებს, არ იღლება შრომაში, ბრძოლაში, სათნოებასა და სიყვარულში.

გარეგნობითვე ივანე:

„შავგრემანაი ნისლს ჰგვანდის

გაბუტვილს, ხევში მძინარეს,

ან კლდისგან შევიწრიებულს

აღელვებულსა მდინარეს.

.....

თმა-წვერი ესხა ისეთი,

როგორც ეკალი, ჯაგარი,

ხელს მოჰკიდებდი - უდრეკი,

როგორაც რკინა მაგარი.

მუდამ იცვამდა თხის ტყავსა“ (იუზა ევგენიძე, 1989: 268).

როგორც წესი, ნამდვილი პატრიოტი მუდმივად ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, რის გამოც „დედა ემდურვის მწარედა“. კაცს, რომელსაც საქვეყნო - საერთო, ერის საქმეზე ზრუნვა ჰქონდა სალოცავ ხატად ქცეული, პირადი კეთილდღეობისათვის როგორ უნდა ეზრუნა. ასეთია გარეგნულად ვაჟას მიერ რაინდის ეტალონად წარმოსახული ივანე, ჭეშმარიტი სახე „კაი ყმისაა“, რომელიც „არას დასდევდა ტანთ-ჩაცმას, არც რო საახელსა ჰყვარობდა“. მაგრამ დიდ სულიერ სიმდიდრეს ძალას იტევს გარეგნულად მოუხეშავი ეს ნამდვილი რაინდული სულის ადამიანი:

„ქართველი კაცის მას სისხლი

მტრისთვის არ შაურჩენია,

ბევრის სიკეთის მოქმედსა

თავი არ დაუჩენია.

არ უყვირია სხვებსავით -

„ეს მადლი დამითესია“,

ყოფილა ჩუმად თავისთვის

როგორც ვაჟკაცის წესია“ (იუზა ევგენიძე, 1989: 269).

ქართველი ადამიანის რაინდულ შესაძლებლობებზე ვაჟამ მკითხველის თვალთახედვა იმითაც გააფართოვა, რომ ივანეს ღირსებად ჩაუთვალა დამარცხებული მტრისადმი გამოვლენილი გულჩვილობა და შემწყნარებლობა.

„მას არა ჰქონდა წესადა

მტრისად მოეჭრა მარჯვენა;

.....

„რა ბიჭობაა, უსულოს

ლეშს კიდევ სისხლი ვადინო“ (იუზა ევგენიძე, 1989: 269).

აი, ასეთია ერისა და ღმერთის წინაშე პასუხისმგებელი რაინდის ცხოვრების ზნეობრივი ელფერი. და როცა „კაი ყმის“ რაინდული სული საქვეყნო საქმეზე ზრუნვაშია გაფენილი, ვაჟამ ამ დიდი სულიერი მონაცემების მქონე პიროვნების ნაკლად კი არა, დროის ტრაგედიად ჩათვალა, რომ სამშობლოსათვის თავდადებული „თხისტყავიანი“ რაინდი ივანე „არ დაგიდევდათ ქალთ ტრფობას, ჩალად არ ჩაგიხედავდა“. როცა ერს, ქვეყანას უჭირს, სად სცალია ივანესთანა მამაკაცს დედას და სატრფოს „თავი ჩაუდვას კალთაში“. ესაა ქართული რაინდული ხასიათის ერთი ისტორიულად ცნობილი შტრიხი და ვაჟამ ქართველი ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნით დამაჯერებლად წარმოსახა ჩვენს გარემოში ისტორიულად წარმოქმნილი ამგვარი რაინდული თვისების ეროვნული საწყისი. როცა ვაჟა ივანეს და მის მსგავს გმირებს ასხამს ქებას, მას ერთი წუხილი აქვს მხოლოდ:

„კაცს ახლანდელს დროს ქვეყნისთვის

თავი ვერ გაუმეტია,

გულის და გონების კარი

ურდულით დაუკეტია,

და კაცად იმასა სთვლიან,

ვინც ფული მოუხვეტია“ (იუზა ევგენიძე, 1989: 270).

არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის წარსულის სიყვრულმა, არამედ ადამიანის სულიერ ღირსებათა გაუფასურების მაუწყებელმა ფაქტებმა დააფიქრა დიდი პოეტი და ათქმევინა:

„სად გაჰქრი, ძველო დროებავ,

ძველო ძმობავ და სალამო?“ (იუზა ევგენიძე, 1989: 270)

ვაჟასთვის წარსული არ იყო ქართველი კაცის შესაძლებლობათა გამოვლენის ერთადერთი აკვანი. დიდი ხელოვანი ივანე კოტორაშვილისთანა „კაი ყმას“ ეძებდა თანამედროვეობაში და ოცნებობდა მისი ღირსებებით შემკულ ადამიანებზე, თორემ შესანიშნავად იცოდა, რომ ყოველი ხალხის წარსულს, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხის წარსულს, რაინდულ სულთან ერთად სიმდაბლე და დაცემულობაც ახლდა. აკი ამიტომაც ამბობს პოეტი:

„თუ მაგრე კარგნი იყავით

და მტკიცედ გქონდათ პირია,

რისთვის დაჰღუპეთ ქვეყანა, -

გამოუთხარეთ პირია?“ (იუზა ევგენიძე, 1989: 270).

ვაჟა ახალ დროში რაინდული შემართებით იკაფავდა გზას მომავლისაკენ, წარსულის გახსენებით, ილიასა და აკაკის მსგავსად, იმ აზრს ნერგავდა, რომ „მხოლოდ გონების თვალითა უნდა განვსჭვრიტოთ წყვდიადიო“ („უიღბლო იღბლიანი“, 1902).

ფშაველი პოეტი განსხვავებული ტიპის მოაზროვნე და ხელოვანია, მას ღრმად ჰქონდა აწონილ-გაზომილი ერის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. იგი აღნიშნავდა: „დედა-ენა, ტერიტორია, ისტორიული იდეალები საუკუნო შემაერთებელი ცემენტია ეროვნებისაო“ (იუზა ევგენიძე, 1982: 77. პოეტი ყოველთვის მომავლის თვალით ზომავდა წარსულისა და აწმყოს მნიშვნელობას თავისი ხალხისათვის და სწამდა, რომ ერის სასიცოცხლო ფაქტორთა შორის „დედა ენა ისეთი

კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებსო“.

ვაჟას რწმენით, სამშობლოს ფხიზელი გუშაგი ინტელიგენცია უნდა იყოს, მშრომელ ხალხს უნდა თავკაცობდეს და გონებრივად გზას უკაფავდეს ჭეშმარიტი ინტელიგენტი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცავდეს ბურჯს ეროვნებისას - ენას. მისთვის სამაგალითოა ილია ჭავჭავაძე - ეროვნული საქმისთვის თავგანწირული ნიმუში.

ვაჟა-ფშაველა არასოდეს არ იზღუდება ვიწრო პატრიოტული განზრახვით, იგი შორსმჭვრეტელი მოაზროვნეა, რომელიც საკაცობრიო პრობლემის გამო წუხს, თანასწორობის იდეას ქადაგებს და ამავე დროს საკუთარი სამშობლოს ტკივილს აქცევს მუდმივი სევდის წყაროდ. სხვა ქვეყნებისა და ერთა პატივისმცემელი ვაჟა საკუთარი ეროვნული ღირსების მოუღლელი დამცველია და ყოველგვარი ქართულის თავგანწირული ქომაგი. პოეტი თავისი მდგომარეობის კვალობაზე არა მხოლოდ მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით, არამედ პრაქტიკულ-საზოგადოებრივი საქმიანობითაც პირნათლად იხდიდა ვალს ერის წინაშე.

ვაჟა-ფშაველა თავის მოქალაქეობრივ ვალად თვლიდა, ხმა აემაღლებინა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ქართველი კაცის პრესტიჟს შეურაცხყოფდა და ერის ზნეობრივი გაღარიბების მაჩვენებელი იყო. ამ თვალსაზრისით, ქართველი ხალხის ცნობიერებაში არა მხოლოდ ფრთიან ფრაზად, არამედ ყოველთვის მწარე, ჩამაფიქრებელ, შეგონებით გაკვეთილად დარჩა ვაჟას მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს ნათქვამი სიტყვა: „ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, თვით საქართველოსაც მოჰკლავდნენო“ (იუზა ევგენიძე, 1982: 79).

ილია ჭავჭავაძე ვაჟასთვის ისეთი პიროვნება იყო, რომლის ღირსებითაც იგი ზომავდა XIX საუკუნის საქართველოს სინდისს, ღირსებას და რომლის ღვაწლის შესაფასებლად დიდი პოეტი ხშირად მოიშველიებდა ხალხურ თქმას: „სოფელი ვინ და ერთი კაციაო“... ამ პოზიციიდან იმაღლებდა ვაჟა ხმას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სკეპტიკურად იყო განწყობილი ჩვენი კულტურული წარსულისადმი, ან სათანადოდ

ვერ აფასებდა მის ღირსებას. „ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევს“ (იუზა ევგენიძე, 1982: 79) - აცხადებდა ვაჟა და მოქალაქეობრივ ამოცანად უსახავდა ყველა ქართველ მწერალს, არ აღმოჩენილიყვნენ ყოფითი ვითარების მონად, ამაღლებულიყვნენ მასზე და ჭეშმარიტი ხელოვანისთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობით მომავლისაკენ მიემართათ თავიანთი შემონაქმედი, რათა ძალების დაძაბვით ამითაც მოეხადათ ერისა და კაცობრიობის წინაშე ხელოვანის მოქალაქეობრივი ვალი (იუზა ევგენიძე, 1982).

თავი III. კაი ყმა - მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების მცველი

ვაჟა-ფშაველა, როგორც XX საუკუნის გამორჩეული და სახელგანთქმული ხელოვანი, ადამიანის სიცოცხლეს შინაარსგამოცლილად თვლიდა, თუკი რაინდული და ზნეობრივად ამაღლებული ფასეულობების გარეშე ცხოვრობდა. ვაჟასათვის „კაი ყმა“ ანუ რაინდი უნდა ყოფილიყო სულიერი და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების მცველი და მას ამისთვის თავგანწირვა სასიცოცხლო მოთხოვნად უნდა ჰქონდა ქცეული.

ისტორიულად რაინდობა შუა საუკუნეებში წარმოიშვა, მისი არსებობის ძირითად ფაქტორად რელიგიათა შორის უნივერსალურ რელიგიად მიჩნეული ქრისტიანობაა ჩათვლილი. რაინდისათვის შესაფერისი თვისებები აქტუალური აღმოჩნდა ყველა

დროში მცხოვრები ადამიანისათვის. გარდა იმისა, რომ ტრადიციულად რაინდს მოეთხოვებოდა ღმერთის, სამშობლოსა და სატრფოს წინაშე განსაკუთრებული ერთგულება, ჭეშმარიტი რაინდის აუცილებელ თვისებად იყო მიჩნეული ასევე პიროვნული ღირსება, სათნოება და ქველმოქმედება, თავმდაბლობა და მამაცობა, უანგარობა და ხელგაშლილობა, ნივთიერზე მაღლა სულიერი ღირებულებების დაყენება.

ისტორიულად არსებულ რაინდობას ჰყავდა თავისი მგოსნები. ასეთია ქართველთა დიდება და სიამაყე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ახალ დროშიც იყვნენ მწერლები, რომლებიც რაინდულ თვისებათა მატარებლებად მიიჩნეოდნენ და რაინდულ დროის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. როგორც ცნობილია, რაინდობის ძირითად შინაარსს ჰქმნის ურთიერთშერწყმული პიროვნული ღირსების, სიყვარულისა და რწმენის გრძნობები, მაგრამ თვით ღირსებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი შინაარსი.

ადამიანმა ღირსების საგნად შეიძლება აქციოს რწმენა და ერთგულება სახელმწიფოსადმი, მომავლისადმი, საკუთარი პროფესიისადმი, მშობლის წინაშე მოვალეობის შესრულება, ცოლ-ქმრული ნდობა, პატიოსანი ცხოვრების საზრისი, კეთილსინდისიერება და ა.შ. საქმე ისაა, რამდენად ფლობს ადამიანი ამ ღირსების ტარების უნარს და როგორ აქცევს მას თავის სიცოცხლის შინაარსად და არსებობის ფორმად. რამდენადაც რაინდული ღირსების დახასიათებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სულიერი მომენტის პრიმატს, იდეისა და რწმენისათვის შეწირვას.

რაინდობა ადამიანის ის იდეალური თვისებაა, რომელმაც გადაარჩინა და შემოგვინახა ერთგულების, სიმართლის, პიროვნული თვითმყოფობისა და ინდივიდის ღირსებებისადმი თაყვანისცემის მოთხოვნილება. ამ თვისებებისადმი ადამიანის ლტოლვა კი უსასრულოა; ამიტომაცაა, რომ რაინდული სული ყოველთვის არსებობდა ადამიანში, ისტორიულად მის არსებობამდე და დღესაც. ჭეშმარიტი რაინდის თვისებებია: თავმდაბლობა, სიფაქიზე, უანგარობა, შურისძიებისაგან ადამიანის სულის განთავისუფლება.

ამრიგად, როგორც კი რაინდულ თვისებათა მასშტაბის განსაზღვრას მოვიწადინებთ, მაშინვე ნათელი ხდება, რომ ძალზედ ფართოა და მრავლისდამტევი, ყველა დროში მისაბაძი და სასურველი ის თვისებები, რომელიც ამკობს „კაი ყმის“ იდეას.

რაინდის ანუ „კაი ყმის“ ნიშან-თვისებათა დახასიათებისას ვაჟა-ფშაველა ქართველი ხალხის ცნობიერებაში, მის ფსიქიკაში ღრმად შეჭრილი და განმტკიცებული სულიერ-ზნეობრივი წარმოდგენებიდან და შეხედულებებიდან ამოდის, მას ეყრდნობა და ქართულ ეროვნულ ხასიათს აცნობს სხვებს.

ქართველთათვის რაინდის ცნება მოგვიანებით, ახალ დროში, ჩნდება, მაგრამ მისი შინაარსი კი უძვლეს წარსულში იღებს სათავეს. სიტყვა „რაინდის“ მნიშვნელობით ადრე იხმარებოდა „ჭაბუკი“, „ყმა“, რაც ხალხურ, კერძოდ ფშავ-ხევსურულ სინამდვილეში „კაი ყმის“ სახეს იღებს და ვაჟას შემოქმედებაში რაინდული სულის გამომხატველ პოეტურ ერთეულად მკვიდრედება. ვაჟამდე ქართველი ხალხის ცნობიერებაში ოდნავ განსხვავებული წარმოდგენა არსებობდა „კაი ყმის“ შესახებ. ხალხს კაი ყმის ზნეობრივი მრწამსი ასე აქვს უკვდავყოფილი:

„კაი ყმა ლაშქარს მოკვდება

სწორების მჯობინებასა“-ო.....

ვაჟას წარმოდგენით კი:

„კაი ყმა, მგელი, არწივი -

არც ერთ არ გაიწურთნება,

მგელი არ მოშლის მგლობასა,

კაი ყმა მამაცობასა,

არწივი არწივობასა,

მთის ყურეთ თამაშობასა.

მგელი გაივლის მთაზედა,

ნამგაბერტყილი დარჩება.

დაიხუვლება არწივი,

მთით ბარად ჩამოვარდება,

დაიჭერს შუნის თიკანსა,

ხორცი ძვალდავ დარჩება.

მაშინ კარგია კაი ყმა,

რა დილა ბინდი დგებოდეს,

იცვამდეს გრილსა რკინასა,

ომსა ვიქმ, ემზადებოდეს.

ხვადი რომ ჰხრავდეს ლაგამსა,

წაღმა-უკუღმა დგებოდეს

ეთოთქროვებდეს მხედარი,

ტყვია ტანზედა ხვდებოდეს“...

(ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961: 282)

„კაი ყმის“ მორალურ-ზნეობრივი და ეთიკური იდეალი გადადის თაობიდან თაობაში, ფორმირდება ღირსეული ვაჟკაცის ქცევის მოტივად და იმ სულიერ-ზნეობრივ ეტალონად წარმოდგება, რომელიც „კაი ყმობას“ - რაინდულის ტოლფას ცნებად აქცევს და მას გამოარჩევს გმირულის შინაარსისაგან.

პოეტი თავის ერთ-ერთ წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“ ასეთნაირად აღწერს რაინდს: „კაი ყმა“ თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისთვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი

თავისებურად არის ლამაზი, „სვილისფერი“, „შავგრემანი“. ხშირად გმირს, ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია. „თხისტყავიანი“ - გმირის ეპითეტია, როგორც „ლურჯა - იმის ცხენისა“ (ვაჟა-ფშაველა, 1956: 66).

ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, კაი ყმისთვის საზოგადო ინტერესი წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე პირადული. მისთვის სულიერი მხარე მატერიალურზე მნიშვნელოვანია. თავგანწირვა სულიერი იდეალისთვის მისი ცხოვრების შინაარსია. ნამდვილი კაი ყმა როდესაც კვდება, მემკვიდრეობად სახელი რჩება და არა სარჩო-საბადებელი. ფაქტობრივად, სამშობლოს, თემის კეთილდღეობასა და რაინდულ იდეალებს შეწირული გმირია. მუდამ სხვის დაპურებაზე ფიქრობს და თავად დღენიადაგ შიმშილს ვერ აღწევს თავს. სხვათა გადასარჩენად იბრძვის და საკუთარს სამსხვერპლოზ დებს (ვაჟა-ფშაველა, 1956: 70).

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა „კაი ყმის“, ანუ რაინდის ისეთ მოდელს ქმნის, რომლის ფესვი განტოტვილია ქართველის ფსიქო-ზნეობრივ სამყაროში, საუკუნეებით განმტკიცებულ, არსებობის ფორმად ქცეულ მეომრულ ბუნებაში, მამაცობის ისტორიის, ტრადიციებსა და ადათებში. ვაჟა-ფშაველამ ჩვენი ეროვნული მეობის და ადამიანის ღირსების საზომად სულიერი მონაცემების სიმტკიცე, სიდიადე აღიარა და სწორედ ამით გახაზა ახალი ცხოვრების გადასხვაფერებულ პირობებში რაინდული სულის არსებობის აუცილებლობა და მისი წარუვალი მნიშვნელობა. ამის შესახებ სავსებით მართებულად აღნიშნავს გრიგოლ კიკნაძე, რომ ვაჟა-ფშაველა ფაქიზი და ამადვროულად რაინდული სულის მგოსანია. მისი მხატვრული მემკვიდრეობა ადამიანის სულიერ სამყაროს ეძღვნება, მის სიმტკიცეს აღიარებს მხოლოდ. კაცთა შეფასების ამოსავალი წერტილი მისი სულიერებაა. ბუნებრივია, არანაირ მნიშვნერლობას არ ანიჭებს ეკონომიკურ მდგომარეობას (გრ. კიკნაძე, 978: 149).

სულიერი ძლიერება ხიბლავს მგოსანს და მისი გამოსახვა არის მწერლის პოეტური იდეალი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვაჟას შემოქმედების დედა ძარღვია რაინდული სულის ხოტბა.

მორალურ-ზნეობრივი იდეალებით მცხოვრები პოეტისათვის ხორციელი ტანჯვა, სულიერი ამაღლებისაკენ მიმავალი გზაა და ამიტომაც ღირს კიდეც ხორციელი გვემა, თუკი სულიერი გამარჯვებას მიაღწევს. ადამიანის სიცოცხლის შინაარსად უნდა იყოს ქცეული სულიერ იდეალებზე ფიქრი და ოცნება, ზნეობრივი საწყისისადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირვა. ასეთ დროს ვაჟა ვედრების ფორმასაც მიმართავს ლექსში „ჩემი ვედრება“:

„ღმერთო, მიიღე ვედრება,

ეს ჩემი სათხოვარია...

.....

გულს დარდი გამიდიადე

იმ სანეტარო საგანზე,

დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე,

ჩემის გონების საბანზე!...

გონებას ფიქრი სტანჯავდეს,

გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,

მშიოდ-მწყურდეს კეთილი,

ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...

.....

ნუ დამასვენებ ნურადროს,

მამყოფე შეძრწუნებული,

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,

როცა ვარ შეწუხებული“

(ვაჟა-ფშაველა, 1961: 110).

ეს ღირსეული კაი ყმის ვეედრებაა, რომელსაც თავისი არსებობის ფორმად შემოქმედებითი ცხოვრება უქცევია, მაღალი აზრისა და სასიკეთო გრძნობის ღირებულება გაუცნობიერებია და სხვისთვისაც მაღალი აზრებითა და ფაქიზი განცდებით ცხოვრება დაუსახავს მიზნად.

ვაჟას სევდის მთავარი მიზეზი გახლავთ ახალ დროში რაინდული იდეალების გაცვლა ვაჭრულზე, ვაჟკაცობის დახურდავება ფულზე, ზნეობისა-სარგებელზე. მაგრამ პოეტი მხოლოდ წარსულით მცხოვრები ხელოვანი არაა! მან კარგად იცის, რომ გმირული ზნეობის მქონე წარსულის ქვეყანას, მომავალიც ზნეობრივად მყარი და საიმედო უნდა ჰქონდეს. ამიტომაც, როცა ზმანების ფორმით პოეტი წარსულიდან გმირთა აჩრდილებს იწვევს, ლექსში „ზნეობა“ ამაყად შესძახებს:

„არ დაეღუპვის, თქვენს აღმზრდელ ერსა ზნეობა“

(ვაჟა-ფშაველა, 1961: 98).

ზნეობის „არდაღუპვის“, ადამიანის მაღალ სულიერ შესაძლებლობათა გადარჩენის წყურვილითაა ავსებული ვაჟას მხატვრული სამყარო, რომელშიც გამოკვეთილ ადგილს იჭერს ამ ნიშნით დატვირთული „კაი ყმის“ მოტივი. ვაჟას მთელი პოეზია მორალურ-ზნეობრივი სულის ძიებაა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ამ მაძიებელი ხელოვანის მრწამსი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული არა მარტო მის თეორიულ ნააზრევში, არამედ მოგვიანებით, 1909 წელს დაწერილ ლექსში „კაი ყმა“ (ხევსურულ ჰანგზე). აქ ნათლად ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველას წარმოდგენები რაინდის თვისებასა და ხასიათზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული „კაი ყმის“ ქართულ ხალხურ იდეალებთან, ჩვენი წარსულის დიდ ტრადიციებთან. წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებისას პოეტი აშკარად აყენებს „კაი ყმის“, ანუ ქართველი რაინდის, ზნეობრივ ძალთა შენახვა-მოვლისა და მისი ცოცხალ სინამდვილეში გარდაუვალი შენარჩუნების მხატვრულ პროგრამას. საპროგრამოა ეს ლექსი იმიტომ, რომ აქ წარმოსახული „კაი ყმის“ ყველა ნიშანი მეტ-ნაკლები სპეციფიკურობით ვაჟას მდიდარ შემოქმედებაში ძალუმად ვლინდება და მას მყარი მოტივის მნიშვნელობაც კი ენიჭება.

„ვინა, ვინ არი კაი ყმა,

ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?

.....

ვინც მიეგებოს მტერს წინა,

წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,

სახე - სისხლ გადმომდინარი

ტკივილს არ გამოიტყოდეს,

თავზარსა სცემდეს სიკვდილსა

.....

სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,

კვდებოდეს, არა გმინავდეს,

თავის სამარხად სუდრადა,

მარტო სახელსა სწირავდეს.

.....

სწყულის სცნას დედის კოცნადა.

.....

სულეთს შავიდეს ხმლიანი.

.....

ერეკლემ ხელი მაჰჰხვიოს,

დაისვას თავის გვერდითა,

გამაეგებოს თამარი

მცინარი, თავის ფეხითა.

გახარებული უფალი

კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა

.....

აი, ვინაა კაი ყმა,

მოსაგონარი ქქებითა!.''

(ვაჟა-ფშაველა, 1961: 282).

ასეთია ვაჟას მიერ დახატული „კაი ყმის“, ანუ რაინდის პოეტური იდეალი და არარაობაა მასთან შეპირისპირებით სინამდვილე, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. „კაი ყმის“ იდეალი დაისახა ვაჟამ იმიტომ, რომ რეალობაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მან ვერ იპოვა თავისი ოცნების შესაფერისი რაინდული სულის მატარებელი პიროვნება, რომელიც საზოგადოს სამსხვერპლოზე მიიტანდა პირადულს, სულიერის გადასარჩენად გატანჯავდა ხორციელს. რეალური, ყოფითი გარემო არ აძლევნდა დიდ მგოსანს შესაძლებლობას, არ გაეკიცხა ნივთიერსა და ხორციელ სილაღეს დაწაფებული თანადროულობა.

„არა თქვენ, სადიაცენო,

რო ძროხებივით სძღებითა;

ღამე მაძღრები დასწვებით,

დილით მშივრები სდგებითა;

თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ

არც როს არ გამასდგებითა.

თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,

ლეში ალაღოთ, ჰკვდებითა;

გაიგებთ კარგის გარჯასა,

გწყინსთ და შურითა ხდებითა;

უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,

უქმად საფლავში სწვებითა,

დაჰკარგავთ სააქაოსა,

ვერც საიქიოს სწვდებითა.

არ იცით, დასჩნდით რისადა,

ან რისათვისა ჰკვდებითა!“

(ვაჟა-ფშაველა, 1961: 282).

ასეთნაირი ფორმით წარმოდგა ვაჟას ლირიკაში რაინდის იდეალი და, ბუნებრივია, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ჭეშმარიტი რაინდული ხასიათებისა და სულიერი მომენტის ძიებამ კიდევ უფრო სრული სახე მიიღო მის ეპოსში.

„ალუდა ქეთელაური“. მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებს და რაინდული სულის ძალუმად გამოხატვის მოთხოვნას უკავშირდება ვაჟას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ის ნიშანი, რომელიც სხვა ეროვნების წარმომადგენელთადმი პატივისცემაში ვლინდება. პოემებში „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ განსახიერებული - ქისტები და ქართველები, ქრისტიანები და მაჰმადიანები, თავიანთი პიროვნული ღირსების გამო, პოეტის უსაზღვრო თაყვანისცემით არიან გარემოსილნი. სავსებით მართებულადაა მითითებული, რომ „თავისი ამგვარი ვიწრო ნაციონალისტური თვალსაზრისისგან სრულიად თავისუფალი დამოკიდებულებით ვაჟა არა მხოლოდ საკუთარ, არამედ თავისი ხალხის შინაგან სულიერ ღირსებებს წარმოაჩენს“ (გრ. კიკნაძე). ღირსებებს, რომლის ფესვები ქართველი ხალხის რაინდული ბუნების წიაღშია საძიებელი. მტერში, მოწინააღმდეგეში ღირსების დანახვა და დაფასება რაინდის ერთი ნიშანდობლივი მხარეა. ამ ნიშნის მიხედვით, ვაჟას პოემებში „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ძალზედ საინტერესო ვითარებასთან გვაქვს

საქმე: აქ მწერალმა წარმოგვიდგინა თავისი რჩეული პერსონაჟების ზნეობრივი მარტოობა.

„ალუდა ქეთელაური“ 1888 წელს გამოაქვეყნა 27 წლის ჭაბუკმა ვაჟამ. პოემაში გამომჟღავნებული მხატვრული ხედვის სიღრმე და სიფართოვე გაოცებასა და აღტაცებას იწვევს მკითხველში; ვაჟამ „ალუდა ქეთელაურში“ გააფართოვა რაინდულ თვისებათა წრე, ისეთნაირი მიდგომა გამოავლინა მოვლენათა მიმართ, რომ არა მხოლოდ თავისი ხალხის მორალურ-ზნეობრივი სული გამოხატა, კიდევ უფრო აამაღლა მკითხველის წარმოდგენა რაინდობაზე. „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ჩვენ ძალზე საინტერესო ვითარების მოწმენი ვხდებით. ადამიანის ღირსების და მით უფრო მოწინააღმდეგის ღირსების დანახვის უნარი რომ რაინდული თვისებაა, ეს ფაქტია; მაგრამ საქმე ისაა, ვინაა პიროვნების მეტოქე. სხვადასხვა ეროვნების და ერთი რწმენის მატარებელმა ორმა საწინააღმდეგო პოზიციის ადამიანმა ერთმანეთის ღირსება რომ დაინახოს, ტრადიციულად ესაა სწორედ რაინდობის გამოვლენის უმაღლესი საფეხური.

ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა იმდენად დიდი შინაგანი ნება და სულიერი ძლიერება გამოავლინეს, რომ ურთიერთღირსებათა დაფასების მოთხოვნილებამ მათთან გადაფარა ყველა სხვა გრძნობა. ე.ი. ადამიანის ღირსების ცნობისა და დაფასების რაინდულმა გრძნობამ აქ გადალახა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ სარწმუნოებრივი ჯებირები, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც ზოგიერთი მათგანის ტრაგიკული მომავალი: ყველაზე თვალნათლივ ამ თავისებურებამ „ალუდა ქეთელაურში“ იჩინა თავი.

მაჰმადიანმა ქისტმა მუცალმა თავისი გულგაუტეხლობით, სიმამაცითა და საკუთარი ძალებისადმი რწმენის სიმტკიცით მოხიბლა ალუდა. თავის მხრივ მუცალიც მოხიბლულია ქართველი ქრისტიანი ალუდას გულადობით. ამიტომაცაა, რომ სიკვდილის წინ ალუდას, როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს, იარაღს გადაუგდებს და ეტყვის:

„ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,

ხელს არ ჩავარდეს სხვისასა!“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 23).

მაგრამ ალუდას ხომ მუცალის ვაჟკაცობა იტაცებს. მას სულიერი მხნეობა ხიბლავს და არა ნივთი. ნივთიერი საწყაული არ იზიდავს ქართველ კაი ყმას, რადგან მისი თქმით, „ვაჟკაცობა არ იყიდება ფულადა“. ადამიანის სულის ღირსებები არ შეიძლება საგნით, ნივთით აიწონოს, მატერიალურით შეუძლებელია სულიერი უნარი შეფასდეს.

ალუდა ძველ რაინდთა მსგავსად აღტაცებულია მუცალის კაცობით. ამიტომაცაა, რომ ტირილში პოულობს გამოხატულებას ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რაც მისმა სულიერმა სამყარომ აღმოაჩინა მუცალის სიკვდილის შემდეგ:

„ალუდას თოფი არ უნდა,

ატირდა როგორც ქალიო,

არ აჰყრის იარაღებსა,

არ ეხარბება თვალიო!“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 23).

მუცალის სულიერი ძალებისადმი ალუდას თაყვანისცემა იმდენად დიდია, რომ ეს გრძნობა არღვევს ყველაზე შეუვალს - სხვადასხვა რწმენის მატარებელ ადამიანთა შორის აღმართულ რელიგიურ კედელს - და ქრისტიან ალუდას ათქმევინებს:

„ვაჟკაცო ჩემგან მოკლულო,

ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო“ (ვაჟა-ფშაველა, თბილისი 1985: 23).

სწორედ მუცალის რკინისებური გაუტეხლობა აფორიაქებს, სინდისის ქენჯნას უღვივებს ალუდას იმის გამო, რომ მან ყველა კაცური ღირსებით შემკული ვაჟკაცი მოკლა. ამიტომაცაა, კოშმარულ სიზმარშიც კი არ ასვენებს მას მუცალის ლანდი და პირისპირ დააყენებს ალუდას თემის წინაშე, თემისა, რომლისთვისაც გაუგებარია მათი წევრის მოქმედების შინაგანი მოტივები. აზრი იმის შესახებ, რომ ალუდა აუჯანყდა თემის ათასწლოვან, კონსერვატიულ, ჩამორჩენილ ტრადიციებს, როცა მუცალს მკლავი არ მოკვეთა, და ეს გახდა თემისგან მისი განაპირების მიზეზი. მოკვეთდა თუ არ მოკვეთდა ალუდა მუცალს მკლავს, ამის გამო, არსებითი ხასიათის დაპირისპირება არ მოხდებოდა პიროვნებასა და თემის წევრებს შორის, რადგან მკლავის მოჭრა

ადათობრივი ვალდებულება კი არაა, არამედ ცალკეული პირის ნებაზეა დამყარებული. ეს ჩანს არა მარტო ამ პოემაში, არამედ როგორც „ივანე კოტორაშვილის ამბავშიც“.

თემი ალუდას დაუპირისპირდა მხოლოდ მაშინ, როცა მან მაჰმადიანი მუცალის „ცხონების“ მოტივი წამოსწია წინა პლანზე:

„კაი ყმის მარჯვენა არი,

გული მეწვება ბრალითა“ ვაჟა-ფშაველა, თბილისი 1985: 32), ამბობს ალუდა.

სიბრალულის გრძნობამ, რომელიც დაფუძნებულია ღირსეული ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ სინანულზე, ათქმევინა ალუდას: მკლავის მოსაჭრელადა

„ვერ გავიმეტე მუცალი...

.....

გული გამიწყრა, არა ჰქმნა,

რაც საქნელია ძნელადა:

„დაე, დააკლდეს სახელსა,

მე გირჩევნივარ მრჩევლადა“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 28).

საკუთარი „მე“ მიაქვს ღირსების აღიარების სამსხვერპლოზე ალუდას, გულის რჩევას, შინაგანი სინდისის ხმას მიჰყვება იგი და ამიტომაცაა მისი ქცევა უაღრესად ეთიკური თავისი შინაარსით. რეალური სინამდვილის მკაცრმა ლოგიკამ ალუდა მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,

მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;

ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ

კუპრში მიელის ქშენანი.

ამის თქმით ვწარა-მარაობთ,

ღვთისშვილთ უკეთეს იციან“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 27).

ამ განსჯის ისეთ დონესთან გვაქვს საქმე, როცა ადამიანი გამოეყოფა თავის „მე“-ს და მას აქცევს დამოუკიდებელი, კრიტიკული თვითანალიზის საგნად. ეს პიროვნების შინაგანი სიმაღლის ნიშანია. ამნაირი თვისებით არ შეიძლება იყოს შემკული თემური წყობის პირობებში მცხოვრები ადამიანები, რადგან თემობრივი სინამდვილის თავისებურება ისაა, რომ ის პიროვნულზე ყოველთვის აბატონებს გვაროვნულს. პიროვნება გამოყოფას ვერ ახერხებს თემის მიერ შექმნილი კონსერვატიული აზროვნების და განსჯის სფეროდან. თუ ცალკეულ შემთხვევაში პროტესტს აცხადებს არსებულის წინააღმდეგ, ეს ადამიანის ზნეობრივი სამყაროს, მისი ღირსების და საზოგადოდ სულიერი ღირებულების სფეროს კი არ ეხება, არამედ კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ საგნობრივ-მატერიალურ მომენტზე ფუძნდება და მისი დაუფლების ინტერესებით ისაზღვრება. ალუდა ქეთელაურის მაგალითზე ვაჟა გვიჩვენებს, რომ წინააღმდეგობა პიროვნებასა და გარემოს შორის სულიერ-ზნეობრივი შეუთანხმებლობის ნიადაგზეა აღმოცენებული, ე. ი. ალუდას, როგორც ჭეშმარიტ პიროვნებას, თავისი მიმართება აქვს გარემოსადმი, საკუთარი თავისადმი. კოლექტივის სულიერი ცხოვრების ეტალონსა - რელიგიურ რწმენას, - ალუდამ საკუთარი გრძნობა-გონებისა და გამოცდილების საფუძველზე შექმნილი წარმოდგენა დაუპირისპირა, რომელიც რაინდული ხასიათის ახალ, მანამდე უცნობ სამყაროს შლის მკითხველის წინაშე. მისი მრწამსით, მარტო ქრისტიანი კი არ შეიძლება იყოს „კაი ყმა“, ანუ რაინდი, არამედ მაჰმადიანიც, თუკი იგი ადამიანური ღირსების, ზნეობბრივი სიმტკიცისა და კაცური შეუვალობის მაგალითს იძლევა. ესაა სწორედ ახალი დროის, ჩვენი დროისათვის ესოდენ პრობლემური და აუცილებელი ე. წ. „სულის რაინდობა“, რომელიც კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივი ღირებულების გადასარჩენად სანუკვარ იდეალადაა დასახული მრავალი მოაზროვნისა და მწერლის მიერ.

ამიტომაც სავსებით სამართლიანადაა აღიარებული, რომ „ალუდა ქეთელაურში“ დგას არა თემისა და პიროვნების, არამედ ყველა დროისთვის აქტუალური, ღრმა სოციალური სიმძაფრის მქონე პრობლემა, პრობლემა - პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა (გრ. კიკნაძე). ამ საკაცობრიო საკითხების გაშუქებისას ვაჟამ თავისი

მხატვრული მიზანსწრაფვის განსასახიერებლად წინ წამოსწია ეპოქის წინაშე მდგომი რაინდული იდეალის ახალ გარემოში გამოვლენის მოთხოვნა. უმაღლეს რწმენად ვაჟა-ფშაველამ ადამიანის ღირსების აღიარება, მისადმი პატივისცემა ჩათვალა, რა ეროვნებასა და სარწმუნოებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. პოეტმა ამით გამოხატა ახალი დროის უმაღლესი სულიერი სწრაფვის - ადამიანის ღირსების ცნობის - დიდი და საპატიო ეთიკურ-ესთეტიკური წყურვილი.

„სტუმარ-მასპინძელი“. 1893 წელს დაიშტამბა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. ამ ეტაპისთვის პოეტს უკვე გამოქვეყნებული მრავალი შედევრ, რომელთა ფონზე „სტუმარ-მასპინძლის“ სახით კიდევ ერთი ბრწყინვალე თხზულება შექმნა.

უკვე გამოკვლეულია, რომ „სტუმარ-მასპინძელში“ დგას ყველა დროისათვის მტკივნეული სოციალური საკითხი - პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა. ამ საკითხს ვაჟა როგორც აღვნიშნეთ, საგანგებოდ ეხება ჯერ კიდევ 1888 წელს „ალუდა ქეთელაურში“, მაგრამ 1893 წლისათვის პოეტი „სტუმარ-მასპინძელში“ უკვე სულ სხვა მასალას მოიხმობს, როცა სტუმარმასპინძლობის ადათზე დაყრდნობით სხვა ასპექტში განიხილავს აღნიშნულ პრობლემას. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ვაჟასთვის სტუმარმასპინძლობის ადათი რის გამო აღმოჩნდა ნაყოფიერი მასალა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტის საჩვენებლად.

პოემის მიხედვით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესი უპირატესად იქითკენაა მიმართული, რათა აჩვენოს, თუ რატომ უწყობს ხელს ამ ადათის მოქმედება პიროვნულის ისეთი სიმძაფრით გამოვლენას, რომ იგი დაუპირისპირდეს კოლექტივს, საზოგადოებას. ქართულ გარემოში ამ ადათის მოქმედებისას კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე მეტად ვლინდება პიროვნული საწყისი, აისახება ქართველი კაცის კონფლიქტური ხასიათიც და მისი სულიერი ძლიერებისაკენ მიდრეკილი ბუნებაც. მაგრამ თქმა იმისა, რომ სტუმარმასპინძლობის ადათი ყველაზე სრული სახით ქართულს სინამდვილეში მოქმედებს. რომ არსად ისეთი სიმტკიცითა და სისავსით არ დგას მისი დაცვა-შენახვის მოთხოვნილება როგორც ჩვენთან, ე. ი. სტუმარმასპინძლობის

ქართველთა სულის სპეციფიკური, მხოლოდ ქართველურ მოვლენად მიღება, არსებული ფაქტიური მასალის შეუმოწმებლობა იქნებოდა. ჯერ კიდევ ბიბლიაშია აღწერილი სტუმარმასპინძლური გრძნობების გამომჟღავნების ისეთი შემთხვევები, რომელიც სიკეთისადმი, პიროვნების ღირსებისადმი პატივისცემას და სამსახურს ასწავლის ამქვეყნად ადამიანებს.

ამიტომაც სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში და, რასაკვირველია, ქართულშიც, ძნელი არაა ისეთი ნიმუშების პოვნა, სადაც ასახულია სტუმარმასპინძლობისადმი პატივისცემითი დამოკიდებულება, მისი მოვლა-დაცვის მოთხოვნა. ერთი სიტყვით, სტუმარმასპინძლობის გრძნობა ყველა ხალხს აქვს. სხვა საკითხია, როგორ ვლინდება სტუმარმასპინძლობის საკუთრივი მექანიზმი კონკრეტულ გარემო-ვითარებაში. ამიტომაცაა, რომ ხალხთა ფსიქოლოგიის გასათვალისწინებლად სტუმარმასპინძლობის ადათის ეთნოგრაფიული ასპექტით შესწავლა სხვადასხვა დროის მკვლევართა შეუნელებელი ინტერესის საგანი იყო და არის.

საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული ხასიათის მყარი ინტერესები აქვს და სტუმარმასპინძლობის სანდო, დაწვრილებით დახასიათებასაც იძლევა ჯერ კიდევ 1886 წელს პუბლიცისტურ წერილში „ხევსურები“, სადაც აღნიშნავს: „ხევსურს იმის გარდა, რომ უყვარს სტუმარი, თავისდა შესაფერისად დახვედრაც იცის. სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდაც ძმა რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს, თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს. სახლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“.

პოეტის ასეთი დაინტერესება და მიმოხილვა სტუმარმასპინძლობის საკითხისა არის შემოქმედებითი აზროვნებისა და მუშაობის გარკვეულად მოსამზადებელი ეტაპი. რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველა მრავალ თავის მხატვრულ თხზულებაში საკითხთა განხილვის ეთნოგრაფიულ ასპექტსაც იცავს. ამას მოწმობს არა მხოლოდ სტუმართმოყვარეობის შესახებ ზემოთმოყვანილი ეთნოგრაფიული დაკვირვების ზუსტი რეალია „სტუმარ-მასპინძელში“, არამედ ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. მაგრამ

უფრო საგულისხმოა სხვა, კერძოდ, თუ რა სულიერი ღირებულების შემცველ მომენტებს არჩევს ვაჟას პოეტური თვალი ეთნოგრაფიულ მასალაში, ანუ ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რატომ იძენს სტუმარმასპინძლობის ადათი პოეტურ ღირებულებას ვაჟასთან.

„სტუმარ-მასპინძელზე“ დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ძალაინ ეფექტურია სტუმარმასპინძლობის ადათის შერჩევა ამ თხზულებაში განსახიერებული ძირითადი პრობლემის - პიროვნებასა და საზოგადოებას შორის შესაძლებელი კონფლიქტის საჩვენებლად. ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ მასალაში რაინდული თვისების შემცველ მომენტებს აქცევს თავისი შემოქმედებითი ინტერესის საგნად, რამდენადაც სტუმარმასპინძლობის საკუთრივი შინაარსი პიროვნული საწყისის წინწამოწების, ანუ რაინდულისაკენ სწრაფვის ნიშნებს შეიცავს.

სტუმარ-მასპინძლობის ადათი გულისხმობს პატივისცემის გრძნობის ორმხრივ გამოვლენას. სტუმრის მხრივ ამ პატივისცემითი დამოკიდებულების დარღვევის შემთხვევა იშვიათი არაა ჩვენი ყოფისა და ლიტერატურისათვის. თვით ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“ სტუმრისადმი გამომჟღავნებული ჯოყოლას უნდობლობაც რომ არ გავიხსენოთ („ნამდვილ აკლებას გვიპირობს, გვღალატობს ჩვენი სტუმარი“.), ამ მხრივ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ დასახელებაც კმარა. მაგრამ ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში სტუმრად მისული მტერიც პატივისცემითაა მიღებული მასპინძლის მიერ და ცალკეულ შემთხვევაში გულისწყრომაა გამოთქმული იმის გამო, რომ სტუმარი ვერ დაიცვეს. სტუმრისაგან უზომოდ შეურაცხყოფილი ბათუც კი მაინც იმას ცდილობს, რომ „სტუმარი არ გაუშვას გულნაკლი და უმადური“.

ამგვარი მაგალითებიდან ჩანს, რომ მასპინძლისათვის მოთხოვნილებადაა ქცეული სტუმრისადმი პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა (მასპინძლის) პიროვნული ძალისა და ღირსების გამომავლინებელია. მასპინძელი ცდილობს, სხვას არა მხოლოდ აჩვენოს, არამედ ზოგჯერ მოაჩვენოს კიდეც პატივისცემის ფორმაში მოქცეული საკუთარი სიკეთის უნარი. მაგრამ ერთი ავტორის თქმით, „ტუკი პატივისცემა არის გრძნობა, რომლის ძირითად ელემენტად გვევლინება საკუთარი ღირსების ემოცია,

როგორ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ ვგრძნობთ პატივისცემას სხვა პირებისადმი? ჩვენ პატივს ვცემთ მათ, ვინც საკუთარ თავს სცემს პატივს, ჩვენი პატივისცემა სხვისადმი არის გამოსახვა სიმპატიისა იმის მიმართ, ვინც საკუთარ თავს სცემს პატივს“ (იუზა ევგენიძე, 1982:147).

მაშასადამე, სტუმარმასპინძლობა პიროვნული საწყისის ფართოდ გამომჟღავნებასა და განვითარებას უწყობს ხელს. პიროვნულის შექმნისაკენ სწრაფვა კი რაინდული სულის თვისებაა, რადგან, როგორც აღნიშნავენ, სწორედ „რაინდობა ჭედს პიროვნული ღირსებისა და პატივის გრძნობას, ქმნის პიროვნულს სიმტკიცეს“. მაგრამ ყველა ერს არა აქვს რაინდული ხასიათების შექმნის ტრადიცია და არც მოთხოვნილება, რადგან პიროვნული საწყისის სუსტად განვითარება ზღუდავს ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გამოვლენის დიაპაზონს და პიროვნულზე აბატონებს კოლექტიურს, რითაც აცლის პიროვნებას და დამოუკიდებელი, აქტიური მოქმედების უნარს.

ქართული ხასიათის ნიშანდობლივი თვისება კი სწორედ პიროვნულ-ინდივიდუალურის გამძაფრებული გრძნობაა. ამის უტყუარ მაგალითებს ჩვენი ისტორია და ტრადიცია-ადათები იძლევიან.

ვაჟა-ფშაველას სტუმარმასპინძლობის ადათში რაინდული ქველმოქმედებითი თვისების შემცველი მომენტი ხიბლავს. ეს წესი მიმართულებას აძლევს ვაჟა-ფშაველას პოეტურ ფანტაზიას, კონფლიქტი შექმნას და მის ფონზე ძლიერი ხასიათები გამოკვეთოს. იმის გამო, რომ თვით სტუმართმოყვარეობის ფაქტი ატარებს თავის თავში პიროვნულის წინწამოწევის, ანუ რაინდულისაკენ სწრაფვის ნიშნებს, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლად და ზვიადაურის ხასიათები გარკვეულად ამიტომაც გამოხატავს პიროვნული ღირსების დაცვის, საკუთარი ძალისა და ღირსების რწმენისა თუ სხვათა ღირსების დაფასების გრძნობებს. ამიტომაც გამოყოფენ კიდესც „სტუმარ-მასპინძელში“ ზვიადაურის სახეში პერსონიფიცირებულ „შეუპოვრობა-გამძლეობისა“ და ჯოყოლას სახელთან დაკავშირებულ „პიროვნული ღირსების დაცვის“ მოტივს. ამ

თავისებურებათა გამო თვლიან ვაჟას შემოქმედებას მამაცური თვისების მატარებელ ლიტერატურულ ფაქტად (გრ. კიკნაძე).

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟთა ქცევა უაღრესად პიროვნულის გამომხატველია. პიროვნული ღირსების ემოცია შეუფარავი ფორმითაა მოცემული ჯოყოლაში, როცა ზვიადაურის შესაპყრობად ან მოსულ ქისტებთან უნებლიედ ავლენს მასპინძლური „მე“-ს ნამდვილ ხასიათს:

„როცა გასცდება ჩემს ოჯახს,

იქ მოეპყარით ავადა“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 100).

ჯოყოლა საკუთარ „მე“-ს იცავს. „ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სად თქმულა ამბადა“, - აი, რა აწუხებს ჯოყოლას. მას არ სურს ტრადიციის დარღვევა. არსებობს ადათი სტუმრის პატივისცემისა და ადათი მტრის მტრულად დახვედრისა. მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს დაემღვნა ამ ორი დათის შესრულების აუცილებლობა. როგორც აღნიშნავენ, „ვაჟა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ სიტუაციაში ურთიერთშეთანხმებული დადებითი ადათი თემს არ მოეპოვება და ეს იწვევს პიროვნების ტრაგედიას. ამიტომ საკითხი ისე კი არ უნდა გაშუქდეს, რომ თემს ებრძვის პიროვნება, არამედ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით თემი „ებრძვის“ საკუთარ თავს. თვით თემშია მოცემული შინაგანი წინააღმდეგობა. პოეტის ღვაწლად უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ პოემაში თემის შინაგანი წინააღმდეგობა წარმოაჩინა. პოეტი ამტკიცებს, რომ კონკრეტული ადამიანის ტრაგედია საზოგადობაში არსებული დაპირისპირების ნიადაგზეა გაჩენილი. ამ შინაგანი გაორების პროცესში ჯოყოლა სულიერს, ქველმოქმედებრივს პოზიციას ირჩევს.

თემისათვის, როგორც კოლექტივისათვის ქცევის შაბლონია დამახასიათებელი. ამიტომაცაა, რომ „სტუმარ-მასპინძელში“ შექმნილ რთულ სიტუაციაში თემი თავს ვერ ართმევს ვითარების სირთულეს. მზამზარეული სიტყვებით წევრთა მსჯელობა ძირითადად აფექტებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს წარმოადგენს. მაგრამ ჯოყოლა თემის, ანუ საზოგადოების კონტროლს არ უქვემდებარებს თავის ქცევას; მისი გადაწყვეტილება თვითკონტროლს ემყარება, მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქცევის

შედეგიც. საერთოდ, ჯოყოლას ქცევა უაღრესად სოციალურია თავისი არსით, რადგან იგი ადამიანის შინაგანი გაკეთილშობილების მაგალითია. ამ მხრივ ჯოყოლას უკომპრომისობა პოეტურია და არა უტილიტარული, მაგრამ ხასიათის ეს პოეტურობა სწორედ მისი ზნეობრივი ამაღლების პირობა. ჯოყოლას მხრივ საკუთარი ქცევის ავტონომიურობის დაცვა რაინდული ზნეობრივი იდეალის სახეს ღებულობს და რწმენის სფეროშიც იჭრება; ჯოყოლას თავგანწირული სტუმართმოყვარეობის საფუძველი ღვთაებრივი შინაარსის მასპინძლური სიკეთეა, რადგან მისი მიზანი მორალური გრძნობის გაღვივება და სხვაზე ზემოქმედებაა. ამ შემთხვევაში ჯოყოლა საკუთარი ძალების რწმენას და სულიერ სიმტკიცესაც ამოწმებს. ამიტომაც თვლის იგი სტუმრის მოსვლას „ღვთისწყალობად“ და „საუფლო წესად“ - მის დახვედრა-შენახვას.

ჩაგრული ზვიადაურის მიმართ ჯოყოლას საქციელში რაინდული ერთგულება ვლინდება. ამ სამაგალითო ერთგულებითა და გამტანობით, სხვისი დანდობით ეს პერსონაჟი პიროვნული „მე“-ს თავისთავადობას იცავს. ესაა ნამდვილი რაინდის თვისებაც. ჯოყოლა და ზვიადაური მათი განსხვავებული სარწმუნოებისდა მიუხედავად, ერთი რწმენის ადამიანები არიან, რადგან სიმართლის მოყვარული ვაჟკაცებისათვის ამქვეყნად ყოველგვარი რწმენის ქვაკუთხედი გულის სიწმინდეა, მისი კარნახით მოქმედებაა. სულიერისაკენ აქვთ მათ სწრაფვა, თავიანთი შინაგანი ხმის მიხედვით მოქმედებენ ეს გმირები და ამიტომაც თვლიან ისინი თავს ერთმანეთის მეგობრად. ეს სწორედ ქართულ გარემოში განხორციელებული ლესინგის მიერ ადრე გამოხატული ნათანბრძენისეული პრინციპია. „სტუმარ-მასპინძელში“ ირღვევა სტუმარმასპინძლობის ტრადიციის ეროვნული საზღვრები და ქართული ზნე-ჩვეულებები ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეს იპყრობს. დიდი პოეტი ამ პოემაშიც რაინდულის შინაარსის ახალ მხატვრულ ინტერპრეტაციას იძლევა.

რაინდული სულის დახასიათების თვალსაზრისით პოემაში ყურადრებას იქცევს ქალისადმი მამაკაცის დამოკიდებულების ვაჟასეული ხედვა.

ზვიადაურის ვაჯკაცური სიკვდილის მოწმე აღაზას გარკვეული სიმპათია უჩნდება სტუმრისადმი. ფაქტია, რომ აღაზამ მოიხიბლა ზვიადაურის ვაჟკაცური,

მამაკაცური ხასიათის სიმტკიცით. ყოველ შემთხვევაში, ვაჟას ცნობიერების ზედაპირზე ამოაქვს ზვიადაურის შემყურე აღაზას ფიქრთა ფარული დინება:

„ნეტავი იმას, ვინაცა

მაგის მკლავზედა წვებოდა,

ვისიცა მკერდი აწკრული,

მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა,

ნეტავი იმას ოდესმე

ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 106).

ზვიადაურის მიმართ ამგვარი, ნატვრის ფორმით გამოვლენილი მოწონება თვით პოეტის წინაშეც კი ქმნიდა სირთულეს, თუ რანაირი გააზრება მიეცა აღაზას სიმპათიისათვის. მართლაც გმირულად დაღუპული ვაჟკაცისადმი ხომ არ ღვივდება ქალში სიყვარულის გრძნობა? რასაკვირველია. ჯოყოლას ფხიზელი ხედვა აქვს, ზვიადაურის სიკვდილის გამო სულიერად აფორიაქებულ, გულშეღონებულ აღაზას პირველ რიგში რომ ეკითხება:

„ხომ არვინ მოიწადინა

გადაეგორე მკლავზეო?“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 111).

პიროვნული ღირსების დაცვის მძაფრ გრძნობას ავლენს ჯოყოლა, როცა ინსტიქტურად ამ კითხვას სვამს. მით უფრო რომ ეჭვს აძლიერებს აღაზას მტკნარი ტყუილი, თითქოის ქალს მითიური დევი გამოეცხადა და ცოლობა სთხოვა:

„...დევს გარდა

სხვა რამ საქმეა კიდევა,

.....

ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,

თორემ ვერ მომითმენია!“ (ვაჟა-ფშაველა, 1985: 113).

ამ მომენტიდან ჯოყოლამ უკვე იცის, რომ მის ცოლს „სადარდო, საგულისხმო რამ გრძნობა გულს“ გადაჰფენია. ჯოყოლა აღაზას ხმის „ნაზ თრთოლვის“ მიზეზსაც ხვდება, როცა ქალი სიმართლეს ეუბნება და ზვიადაურის სიკვდილის სურათს აცოცხლებს ქმრის წინაშე. აქ რთული ფსიქოლოგიური ატმოსფეროა შექმნილი. ამ სირთულეს გარკვეული გავლენაც კი მოუხდენია ვაჟას შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობაზე, რასაც თვით პოეტიც აღიარებს: „წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შევუყენებივარ „სტუმარ-მასპინძელში“. მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი, ჯოყოლა, ჰკითხავს ცოლს, აღაზას, ნამტირალევი რათა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმრის ბაასმა მტელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა გაეცა ჯოყოლას ცოლისათვის, როგორ შეჰხვედრილიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნება ზვიადაურზე: ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისთვისაო“ (ევგენიძე იუზა, 1982: 153).

საბოლოოდ კი, როგორც ვიცით, ვაჟამ უაღრესად თანამედროვე მწერლის თვალით ჩაიხედა მის გმირთა სულიერ სამყაროში, აღაზას ფაქიზსა და ამაღლებულ განცდებს ჯოყოლას მხრივ განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანის ხედვა დაახვედრა და წყვილის ჰარმონიული ცოლქმრობის ამაღლებული სახე გვიჩვენა, როდესაც ჯოყოლამ წარმოსთქვა:

„იტირე? მადლი გიქნია,

მე რა გამგე ვარ მაგისა“-ო (ვაჟა-ფშაველა, 1985: 113).

ჯოყოლამ იცის ფასი სხვისი განცდებისა იმიტომაც, რომ მას საკუთარის პატივისცემის უნარი აქვს, საკუთარი ღირსების რაინდული გრძნობა გააჩნია. ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელში“ სწორედ განცდათა სირთულის ჩვენებას ისახავს მიზნად.

აღაზას ზვიადაურის სახით, მამაკაცური, რაინდული იდეალისადმი აქვს სწრაფვა. ადამიანის სულის სიღრმეში იძირება ვაჟა, როცა აღაზას პიროვნებაში წარმოდგენილ

განცდათა ჭიდილის პროცესს აღწერს. აღაზა ქალური თვალით ხედავს და აფასებს ზვიადაურის ვაჟკაცურ ქცევას; მისი ქცევის მოწონებაც სწორედ ქალური მოწონებაა. მაგრამ ამ განცდას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მოპოვებული გარკვეული გრძნობის უფლება, რადგან მას არც რაიმე წინაისტორია უძღვის და არც შემდგომი განვითარება ახლავს; აქ მხოლოდ ფიქრში აღმოცენებული მომენტური ხასიათის განცდაა, რომელსაც სხვა რიგის, ზნეობრივი შინაარსის გრძნობები ჰფარავს. აღაზა თავის ფარულ ფიქრებს ხილულად არ ხდის. ამ ქალში ერთდროულად სხვადასხვანაირი განცდებია მოცემული, შესაძლებელია, წინააღმდეგობრივიც. მაგრამ მათზე საბოლოოდ მთლიანად ბატონობს აღაზას ზნეობრივი „მე“. აღაზა მოვალეობისა და სიბრალულის სიბრტყეზე ახდენს თავის განცდათა გადანაცვლებას, რაც მის სულიერ სიფაქიზეს მოწმობს; ადამიანში საკუთართან ერთად, სხვათა რაინდული თვისებებით აღფრთოვანებაც არის. შებრალებასა და შეყვარებას მოსდევს ვალდებულებისა და პირადი გადაწყვეტილების თვითშეფასება. მეუღლის უდიდესი სიყვარული არ უარყოფს სხვა ვაჟკაცით მოხიბლვასაც. ასეთია ცოცხალი ადამიანობის მრავალფეროვანი ბუნება. და სწორედ ეს შინაგანი მრავალფეროვნება, გრძნობათა დაფარული სირთულე არის „სტუმარ-მასპინძლის'' ფსიქოლოგიური სიღრმის პირობა.

„გოგოთურ და აფშინა“ ვაჟას ერთ-ერთი პირველი პოემაა და მასში მწერალმა ორი, ურთიერთდაპირისპირებული ტიპი წარმოგვიდგინა - გოგოთური და აფშინა, თუმცა ეს უკანასკნელი უმთავრესი გმირია, ავტორს სწორედ მისი ფერისცვალება აინტერესებს.

ნაწარმოები, აფშინას დახასიათებით, იმ ავტორიტეტის ასახვით იწყება, რაც მას ხალხში გააჩნია:

„ამბობენ, ბლოელ აფშინა...სალარო ხანისა“.

ფინალშიც კვლავ აფშინას ვხედავთ.

გოგოთურზე გაშლილად მოგვითხრობს ვაჟა, მის ოჯახზე, ცოლთან საუბარზეც წვრილად გვესაუბრება, მაგრამ როგორც კი ამ ორი გმირის შეხვედრა სრულდება, გოგოთურის როლი ამოიწურება, მწერალი მასზე აღარაფერს გვიამბობს.

გოგოთური ნამდვილი „კაი ყმაა“, „გამარჯვებას ჩვეული“, ღონით ვერავინ შეედრება, ვეება ჭადარს ჩხირივით გაიდებს მხარზე, „ნეკით გასტყვარცნის, აფშინა / ხე და ქვათ შაეცხებაო“. მეფე ამ რკინის გულიან რაინდს ათასის სწორად მიიჩნევს, რადგან ომში შეუდარებელია, ქვიშასავით რიცხვმრავალ მტერსაც კი მარტო უმკლავდება, მუდამ იცავენ „ანგელოზნი ზენანი“ და თვითონ უვნებელი რჩება.

გოგოთური ლაღი ბუნების ადამიანია. ამიტომ მთაში, ბუნებასთან ახლოს ცხოვრება ურჩევნია, იქ ჭირის ატანა უჯობს ბარში ნებივრობას, მუდამ საქმიანია, ხან ომობს, ხან კი ცელი უჭირავს და შრომობს, ან ნადირობს ირმებზე, ჩვეულებრივ ცხოვრობს, ყალიონს აბოლებს, ფანდურს დამღერის, ცხოვრება ლხინით გაჰყავს, სიმღერით დადის გამარჯვებას ჩვეული, წითელი ჩოხით - ხალისითა და სიცოცხლით სავსე ყოველთვის ლაღად ეგებება.

გოგოთური კეთილია, არავინ ძარცვავს, გულს არავის სტკენს, არავის ეჩხუბება, ცოლის შემოტევაზე, სხვების ძრაცვით იშოვე სარჩოო, ჯერ ბრაზდება, ცოლს აბუჩად იგდებს, შემდეგ კიაყალმაყალის თავიდან ასაცილებლად ირონიას მიმართავს, „იმის გასაკეთებლად მიდის“, რაც ცოლმა მოსთხოვა, სინამდვილეში მოყვარესთან მიემართება.

ფანდს მიმართა აფშინასთან შეხვედრისასაც, საწყალ, ბეჩავ კაცად რომ მოაჩვენა თავი.

გოგოთური თვითონაც ამგავარი კაცია და სხვასაც იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად ახერხებს სიკეთის თესვასა და მამულის სამსახურს. მისი ფრანგული მხოლოდ მტერს ერჩის, „ძმაზედ არა აქვს ხელიო“. ვაჟკაცს რვა ხმალი გასცვეთია ომებში თავგამეტებით ბრძოლისას. მისი რწმენით, მხოლოდ ასეთი ყმაა ღირსი „წელზე ხმლის, თავზე - ქუდისა“. აფშინასაც არცხვენს მოყვრის ძარცვის გამო და ურჩევს, თავისი ძალ-ღონე მტერთან ბრძოლაში დახარჯოს „პიროფლიანმა მგლებურა“.

„ღვთის ხათრი“ უმნიშვნელოვანესია გოგოთურისთვის. მუდამ ახსოვს, რომ „ღვთიანი კაცია“ და ამის შესაბამისად მოქმედებს. სხვებისგანაც ამას მოითხოვს. აფშინას ამიტომ ამუნათებს: „ხათრი არა გაქვს ღვთისაო?!“ შემდეგ კი, როცა ცუდკაცობის გამო

ლანძღავს, ეუბნება: „კაცი არა ხარ, ღვთიანი?- ღმერთი არ არის შენშია?!“ დალოცვისას სამ რაიმეს უსურვებს აფშინას, სამივეს უფალთან დაკავშირებულს.

„გწყალობდეს ხატია...

ღმერთმა გაშოროს ბოროტი...

ნუ მოგიშალოს უფალმა...“

ამით ჩანს, რომ გოგოთური ღვთის კაცია და სხვა ადამიანებსაც დადებითად მუხტავს. იგი ჩასწვდა აფშინას მცდარად ცხოვრების მიზეზს, მიხვდა ამ ბლოელს რამ დააკარგვინა ვაჟკაცის პატივისცემა და მოყვრის საძარცვავად გაუხსნა ხელი: თავისი ცხოვრების გზაზე მხოლოდ დონდლოებსა და ლაჩრებთან შეხვედრამ, ღირსეული ვაჟკაცის უნახაობამ.

თავი IV. დასკვნა

ამრიგად, უდიდეს და გენიალურ პოეტს ვაჟა-ფშაველას უპირველეს ყოვლისა იზიდავს და მხატვრული შემოქმედების უმაღლეს საფეხურზე აჰყავს ადამიანის სულიერი სამყარო, ოღონდ არა ჩაკეტილის და განკერძოებულის, არამედ თემისა და ქვეყნის აქტიური წარმომადგენლის. სწორედ ეს გახლავთ მწერლის აზროვნების,

ფიქრთა განსჯის, პრობლემათა გადაჭრის უპირველესი საფუძველი. ხელოვანის აზრით, შემოქმედის ყოველგვარი მოღვაწეობა და მხატვრული მემკვიდრეობა უსაფუძვლო იქნება, თუკი არ იქნება დაფუძნებული ადამიანებზე ზრუნვასა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

„ვაჟას სახით ჩვენ წინ ხელოვანი დგას და სწორედ ამითაა განსაზღვრული, რომ ამ პოეტის, როგორც ფენომენის, ცხადსაყოფად ჩვენ მისი შემოქმედებითი პროდუქტიულობის მომენტს ვირჩევთ“ (გრიგოლ კიკნაძე, 1966: 2). ის შემოქმედება და თემები, რომელსაც ვაჟა ირჩევს, ყველა დროში აქტუალურია. მისი ღრმა და ფილოსოფიური განსჯის პრობლემატიკაა: პატრიოტიზმი, ისტორიული წარსული, ადამიანის პიროვნული ღირსება, კაი ყმა, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები, ბუნების რაობა და ბუნებისადმი ადამიანის მიმართება.

ვაჟას ცხოვრების საზრისი სწორედ, რომ ღირსებისა და სინდისის დაცვას ემსახურება. ის ღირსეული მშობლების ღირსეული შვილია. მწერლის გმირული ცხოვრება დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ ვაჟკაცურ ქცევებზე.

მწერალი და მოაზროვნე სამაგალითო მამულიშვილია თავისი ქვეყნის. მთიელი პოეტის აზრით პატრიოტიზმი უცილობელი და ორგანული თვისებაა მწერლის ცხოვრებისა.

„ვაჟა-ფშაველას პოეტურ განწყობილებებს ღრმა მოქალაქეობრივი აზრები და შეხედულებები ჰკვებავდა, რადგან ვაჟა თავად იყო თავისი დროის დიდი მოქალაქე“. ვაჟას ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მძლავრ ინტელექტს ეფუძნებოდა და საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა გამომუშავებული მოვლენათა მიმართ, ე. ი. მის შემოქმედებაში არაფერია ისეთი, რაც ღრმად ნაფიქირისა და წინასწარი გააზრების გარეშეა მიწოდებული საზოგადოებისათვის. პოეტის სახით, უკომპრომისო ხასიათისა და შეუვალი მოქალაქეობრივი პრინციპის მქონე პიროვნება ჰყავდა და ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ვაჟა აქტიური ხელოვანი იყო, რომლის სამოქმედო პროგრამას შეადგენდა „აზრი ქვეყნის ხსნისა“. ამ ერთობ საპატიო და მძიმე ამოცანის გადასაჭრელად იგი არა მხოლოდ თავისი პიროვნებით წარმოადგენდა მოქალქეობრივი და შემოქმედებითი

გმირობის ნიმუშს, არამედ პირდაპირ ქადაგებდა კიდეც, რომ „მოქალაქეობრივი სიმამაცის გამოჩენა სჯობიან გაჩუმებასო“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ბევრი რამ არის უკვე ძველთა-ძველი, ძველი და ისტორიული. შინაარსობლივად ასეთია მისი პოემების დიდი ნაწილი. მაგრამ ფაქტია, რომ თვით ვაჟასადმი ჩვენი ინტერესები სრულიად არ ემთხვევა სიძველისადმი ინტერესს. ერთიმეორეს იმიტომ ვერ შეედრება ჩვენი ინტერესები ვაჟასადმი და რომელიმე ძველი მწერლისადმი, რომ ეს ინტერესები სხვადასხვა სიბრტყეზე არის მოთავსებული. მწერლის შემოქმედების ამ „ისტორიულ სფეროს“ თანამედროვეობის თვალსაზრისით აქვს აქტუალური მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ მნიშვნელობას ვეძებთ და ადვილადაც ვაგნებთ. თანამედროვეობას არაფრით არ შორდება დედააზრი და გამიზნურობა გოგოთურის, ჯოყოლას, ზვიადაურის... მოტივებისა. სწორედ „კაი ყმის“ - მორალურ-ზნეობრივად მდიდარი ადამიანის სახეა დომინანტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედება.

ჰუმანურობის ძლიერ ნაკადად მომდინარე ვაჟა-ფშაველას მთელი პოეზია ჩვენს თანამედროვეობას შორიდან ერთვის, როგორც შინაარსეულად მისი მოუცილებელი მომენტი. ასეთი სახე აქვს ვაჟასთან ყოველს „ისტორიულსა“ და ძველს ე. ი. ვაჟას მიერ წარსულის თემაზე დაწერილ თხზულებებში დამკვიდრებულია ცოცხალი ისტორიის გრძნობა. ისტორიას კი აცოცხლებენ ძველი ფაქტები, ლეგენდები, გადმოცემები, რომელთაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა ვაჟა.

ქართველი ხალხის ინტერესების, მისი მისწრაფებებისა და ეთიკური იდეალების სურათი ვაჟა-ფშაველას მიერ მოცემულია სრულიად უბრალო ხალხის აღწერა-დახასიათების პლანშიც. ეს სურათი დამარწმუნებელია შინაარსობლივად, იმით, რომ დაცულია ყოფითი რეალობის სიზუსტე და მასალის განხილვის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვეობის ასპექტები. ნაწარმოებთა დამარწმუნებლობის უფრო მაღალი ხარისხი მიღწეულია ენობრივი ფაქტორის მონაწილეობით. თუ სხვა მწერლების შესახებ ითქმის, რომ ისინი ცდილობდნენ ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებას, ვაჟა-ფშაველას მიმართ მოხსნილია ასეთი ცდის საკითხი - თვით ხალხური მეტყველებაა ის,

ის არის განსახიერება ხალხური მეტყველებითი გენიისა თავისი ყოფითი სახითა და პოეტური შესაძლებლობებით.

ეს არაჩვეულებრივი სიახლოვე, ფიზიკური და სულიერი მოუცილებლობა თავისი ქვეყნის ტერიტორიასთან, წარსულთან, აწმყოსთან და მის მომავალთან არის ის ნიშანი, რომელიც ვაჟას ფენომენს აგვირგვინებს და ამთლიანებს, თუმცა ამ ფენომენის ცხადსაყოფად კიდევ და კიდევ საჭიროა ძიება განცდათა და იდეათა ვაჟასეული ფორმებისა.

ვაჟა-ფშაველა განსაცვიფრებელი მესაიდუმლე და მეგობარია ბუნებისა, თავისებური ამთვისებელი მოვლენებისა, იგი ადამიანის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებული ჰუმანისტია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევგენიძე ი., „ვაჟა-ფშაველა“, „ნაკადული“ თბილისი, 1982;
2. კიკნაძე გ., ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ თბილისი, 1966;
3. რაზიკაშვილი ვ., მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, 1961;
4. სახოკია თ., „კაი ყმა“ 1986;
5. ქიქოძე გ., წერილები ესეები ნარკვევები, თბილისი, „მერანი 1986;
6. ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1974;

7. ხორნაული გ., „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ „ნაკადული“, თბილისი, 1987;
8. ყუბანეიშვილი ს., ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, 1937;
9. ცაიშვილი ს., კაი ყმა, „მერანი“ თბილისი, 1986;
10. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ თბილისი, 1979;
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „ნაკადული“ თბილისი, 1974;
12. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1964;
13. ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961;
14. ვაჟა-ფშაველა, პოემები, „ნაკადული“ თბილისი, 1985;
15. ვაჟა-ფშაველა, ნიჭიერი მწერალი, IX, 1964;
16. https://armuri.georgianforum.com/t71p50-topic0;
17. https://setterii.wordpress.com/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/;
18. https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems/2669.modimokhshirdi-chagharav.htm;
19. https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems/2637.ertkhel-ki-chvenats-vkophilvart.htm